# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 18 აპრილი 2006 №86 (2708) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთის მოყვარეთა გამოსავალი და შემოსავალი

## მილანი — ბარსელონა: ცოტა იაფად, მაგრამ ორი





ამბობენ, „მილანი“ — „ბარსელონა“ ფინალს უფრო დაამშვენებდაო. მართალია, მაგრამ ფინალში ერთი მატჩია, ნახევარფინალში კი ორი. ამიტომ, ეგებ უკეთესიცაა ფეხბურთის მოყვარე ხალხისთვის, რომ ამ გუნდების თამაშს ორჯერ ნახავენ — ჯერ „სან სიროზე“, მერე კი „კამპ ნოუზე“. ამით ქომაგი ასე თუ ისე მაინც იხეირებს, ხოლო ვინც ნახევარფინალში იხეირებს, ალალი იყოს იმაზე ფინალში თამაში. პირველი სერია ორსერიიანი ფილმისა, რომელშიც უდიდესი ვარსკვლავები მონაწილეობენ და რომელსაც „მილანი“ — „ბარსა“ ჰქვია, დღეს ვიხილოთ და ვისიამოვნოთ.









# კანონისგან გადააფიშებული შოუ მაისიდან ოქტომბერში გადასრიალდა




*მაისისთვის დაპირებული გრანდიოზული ყინულის შოუ ოქტომბერში გაიმართება. ეს ცნობა გუშინ თბილისის ყინულის შოუს კომერციულმა დირექტორმა პეტრე ცანავამ დაგვიდასტურა. ამბავი კი შოუს ერთ-ერთი მონაწილის, ტურინის ოლიმპიადის სპორტულ ცეკვებში ჩემპიონის ტატიანა ნავკასგან შევიტყვეთ: გვითხრა, შოუ, შესაძლოა, არ გაიმართოს და მიზეზების დასადგენად ორგანიზატორებს მიმართეთო. ჩვენც შოუს კომერციულ დირექტორს შევეხმიანეთ მოსკოვში...*

— რატომ გადაიდო შოუ?

— არის პრობლემები, რომელთა მოგვარება ვერ ესწრება.

— გავიგეთ, შოუს მონაწილე ვარსკვლავები ჰონორარით არიან უკმაყოფილოო.

— ეგ საკითხიც იდგა და მალევე მოგვარდა. პირობებით ყველა კმაყოფილია, მხოლოდ ერთი პრობლემაა, რაც საბაჟო პროცედურებს ეხება. ჩვენ უნდა ჩამოვიტანოთ ყინულის მანქანა, საქართველოს საბაჟო კანონებით კი ასეთი რამ გათვალისწინებული არ არის. ამ გაუგებრობის გამო მის განბაჟებას 75 ათასი ევრო სჭირდება. ეს მანქანა რომ საკუთრებაში გვრჩებოდეს, შეიძლება, გადაგვეხადა კიდეც ამხელა თანხა, მაგრამ ერთ კვირაში უკან უნდა დავაბრუნოთ, ამიტომ დიდი ფულის ერთი კვირის გამო გადახდა სისულელეა, თანაც ყველა საბუთის შეგროვებას და პროცედურებს საკმაო დრო სჭირდება, ჩვენ კი ვერ მოვასწრებთ დაზღვევას, პრომოუშენს და ბილეთების გაყიდვას. ფირმას, რომლისგანაც ყინულის მანქანას ვქირაობთ, გარანტიები სჭირდება, რომ მის საკუთრებას საბაჟო არ დააყადაღებს. ჩვენ ამ გარანტიებს ვერ ვიძლევით. ამიტომ გადავწყვიტეთ, მოვიცადოთ და ოქტომბრისთვის ყველაფერი უპრობლემოდ გავაკეთოთ.

— შოუს გადადებით გეგმები არ აგერევათ, ანუ შეგულებული ვარსკვლავები უარს არ იტყვიან მონაწილეობაზე?

— ყველაფერი შეთანხმებულია. გვინდა, შოუ თბილისობას დავამთხვიოთ. ოლიმპიური ჩემპიონები ტატიანა ნავკა და მისი მეწყვილე რომან კოსტომაროვი, ელენა ბერეჟნაია, ანტონ სიხარულიძე, ალექსეი იაგუდინი, მსოფლიოს ჩემპიონი ბრაიან ჟუბერი, ელენე გედევანიშვილი, ვახტანგ მურვანიძე თბილისში ჩამოვლენ. ცხადია, იქნებიან შოუს თაოსნებიც — ილია ავერბუხი და მისი მეუღლე ირინა ლობაჩოვა. მეტიც, შოუ კიდევ უფრო გამდიდრდება ვარსკვლავებით, ოღონდ ეს სიურპრიზად დავტოვოთ.

**ბაჩო სვანიძე**

# სიტყვა და პასპორტი

## ჩიხრაძემ, დამიძახეთ და მოვდივარო

რუსულ პრემიერლიგაში წლეულს ალზევებულმა ნალჩიკის „სპარტაკმა“ სეზონი ისეთი რიხით დაიწყო, ჯერ ხუთი ტურია ჩატარებული და ამ გუნდს რუსულ ფეხბურთში უკვე ლიდერთა უპირველეს გამამწარებლად მიიჩნევენ. ნალჩიკელები პრემიერლიგაში მეხუთე ადგილზე არიან და ეს შედეგი მათთვისაც კი მოულოდნელი ყოფილა. ამ გუნდში ერთი ჩვენიანი გოგიტა გოგუაა, მეორე კი სანახევროდ ჩვენიანი მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძე, ვისაც თავის დროზე თბილისის „დინამოში“ უთამაშია. ჰოდა, ახლა, როცა საქართველოს ეროვნული გუნდისთვის მეკარის საკითხი აქტუალურია, ეგებ მისთვისაც მიეცათ შანსი. მით უმეტეს, თავად საშაც მზადაა, ჩვენს ეროვნულ გუნდში პირველსავე დაძახებულზე ჩამოვიდეს...



— დიახ, ჩათვალეთ, რომ მზად ვარ საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ. ჩემი მხრიდან პრობლემა არ იქნება, მთავარია, გამომიძახონ და ორმაგი მოქალაქეობის საკითხი გაირკვეს — გვითხრა ალექსანდრე ჩიხრაძემ, ვინც თავისი გუნდის ძირითადში სტაბილურად თამაშობს და „სპარტაკის“ სადღეისო შედეგიც მეტწილად სწორედ მისი დამსახურებაა.

**— რუსეთის მოქალაქე ხარ?**

— დიახ, მაგრამ, როგორც ვიცი, საქართველოში ორმაგი მოქალაქეობა დაშვებულია და თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მოინდომებს, ვფიქრობ, ჩემთვის ქართული პასპორტის გაკეთება პრობლემა არ უნდა იყოს. მოკლედ, საქართველოს ნაკრებში სიამოვნებით ვითამაშებ, ცხადია, თუ გამომიძახებენ და საპასპორტო პრობლემას მომიგვარებენ.

**— რუსეთში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებთან თუ გაქვს ურთიერთობა?**

— გიორგი ლომაიასთან ვმეგობრობ, ტელეფონით თითქმის ყოველდღე ვსაუბრობთ ხოლმე. კარგი ურთიერთობა მაქვს მიხეილ აშვეთიასთან, „რუბინში“ მოთამაშე სხვა ქართველებს კი საერთოდ არ ვიცნობ. გავიგე, რომ „რუბინის“ მეკარე რევიშვილი ახალგაზრდა და ძალიან პერსპექტიული ყოფილა. თავისთავად, გოგიტა გოგუა ჩემი თანაგუნდელია და, ბუნებრივია, მასთან ყველაზე ახლოს ვარ, მან „სპარტაკის“ შუა ხაზი მნიშვნელოვნად გააძლიერა და გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია.

**— პრემიერლიგაში „სპარტაკის“ ასეთი წარმატებული დებიუტი რას მივაწეროთ?**

— მონდომებას, სათანადო განწყობას და ბრძოლის სურვილს, თორემ „სპარტაკი“ შემადგენლობით ბევრს ჩამორჩება. თან, ისეთ მოედნებზე, როგორზეც ვთამაშობთ, სხვანაირად არც გამოვა — ტექნიკის დემონსტრირებას იქ ვერ მოახდენ. ჯერჯერობით „სპარტაკი“ იმ ფეხბურთს თამაშობს, რაც იცის და არაფერს იგონებს. ბრძოლის უნარი — ასე აიხსნება ჩვენი კარგი დებიუტი.

**— რომელიც ბევრისთვის მოულოდნელი იყო...**

— დიახ, ჩვენგან ასეთ დებიუტს არავინ ელოდა, ყველა გაკვირვებულია, ჩვენს ქომაგებს კი უზომოდ უხარიათ.

**— „სპარტაკს“ წლეულს რა გეგმები აქვს? სეზონი ისე დაიწყეთ, რომ...**

— არა, წლეულს მაღალი მიზნებისთვის ვერ ვიბრძოლებთ, ეს გამორიცხულია. თუმცა, რა თქმა უნდა, იმედი მაინც გვაქვს. ჩვენთვის ძალიან კარგი იქნება, თუ პრემიერლიგაში ადგილს შევინარჩუნებთ. „სპარტაკის“ რეალური ძალა რამდენიმე ტურის შემდეგ უფრო გამოჩნდება. სხვა გუნდები ჯერ სრული ძალებით ვერ თამაშობენ, როცა ისინი მოუმატებენ, ჩვენც შესაბამისად უფრო გაგვიჭირდება.

**— სადღეისოდ ყველაზე კარგ ფეხბურთს რუსეთში რომელი გუნდი თამაშობს?**

— თითქმის ყველა გუნდი ვნახე და მხოლოდ ორი — ცესკა და „კრილია“ მომეწონა. ლამაზად და ხარისხიანად თამაშობენ. „ტომიც“ კარგია, ლომაიას „ლუჩ-ენერგია“ კი, ვფიქრობ, ბევრ ფავორიტს გაამწარებს. სხვა გუნდების ნაღდი შესაძლებლობები ერთი-ორი ტურის შემდეგ გამოჩნდება.

**ქობა ინასარიძე**

# მილანის ჭილიბი

## საკუთარ უბედურებასთან მებრძოლი კალაძე

**დაახლოებით** ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც „მილანის“ მცველი კახა კალაძე სამშობლოში ჩავიდა თავისი ძმის დასაკრძალად. ეს უკვე ტიხარი იყო — ტოპკლასის ფეხბურთელს უკვე შეეძლო ბოლომდე ჩასწვდომოდა ტკივილს. კალაძის სტუდენტი ძმა ლევანი 2001 წლის მაისში გაიტაცეს თბილისში, მაშინ, როცა კახა ახალი გადასული იყო „მილანში“. ლევანის გვამის ნარჩენები კი მხოლოდ წლეულს, იანვარში იპოვეს.



განგსტერების სამიზნე ქვეყნის ყველაზე წარმატებული ფეხბურთელი აღმოჩნდა, რომლის გადასვლა ევროპის უდიადეს კლუბში ქარისგან ჩამოგდებული ხილის ნაყოფი გამოდგა თავისი ოჯახისთვის, მაგრამ ყველაფერი ეს ახლა იმას ნიშნავს, რომ კალაძე საშინელი პასუხისმგებლობის გრძნობით ცხოვრობს — რამდენჯერ ეკითხება ის საკუთარ თავს: ცნობილი ფეხბურთელი რომ არ ყოფილიყო, მისი ძმა ხომ ცოცხალი იქნებოდა.

სანამ მისი ძმის გვამს ამოიცნობდნენ, კალაძე წარმოუდგენელ მხნეობას ავლენდა — მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სახელიან გუნდში კარიერას იკეთებდა. კალაძეების ოჯახი ოთხი წელი მოქუფრული იყო. ისინი იბრძოდნენ დამარცხებულ ბრძოლაში, ითხოვდნენ დახმარებას საქართველოს მთავრობისგან. განგსტერებს კატეგორიული უარი უთხრეს გამოსასყიდის გადახდაზე. კალაძე უკრაინის მოქალაქეების მიღების შესაძლებლობას განიხილავდა, მამამისი კარლო კი თავის დაწვით იმუქრებოდა სამინისტროს შენობასთან.

კალაძის მშობლებმა მიიღეს მოთხოვნა 650 000 დოლარის გამოსასყიდზე, რომელიც მალე შეამცირეს და ყველაფერ ამას ვიდეოფირიც ახლდა, რომელშიც თვალებახვეული ლევანი შველას ითხოვდა. ამის შემდეგ კი ჩამი-ჩუმი აღარ ისმოდა მანამდე, სანამ კალაძის ძმის გვამი აღმოჩინეს და მას იდენტიფიცირება ჩაატარა FBI-იმ.

„ეს ყველაფერი ძალიან ძნელი გადასატანი იყო, მსურს, მადლობა ვუთხრა გულშემატკივრებს, თანაგუნდელებს და კლუბს — ისინი ძალიან დამეხმარნენ, მაგრამ მე კაცი ვარ და ამ ტრაგედიით უნდა ვიცხოვრო“ — ამბობს კალაძე.

ერთი სიტყვით, თითქმის შეუძლებელია, ფეხბურთელი კალაძე განვიხილოთ იმის გარეშე, თუ რა გადახდა მას საფეხბურთო მოედნის მიღმა.

კალაძის ბოლოდროინდელი თამაში საკმაოდ შთამბეჭდავია. რჩევებმა, ეთამაშებინათ ის „მილანის“ დაცვის ცენტრში ალესანდრო ნესტასთან ერთად, გაამართლეს. საუკეთესო ნიმუში „მილანში“ მისი ჭილიბის (რკინის ან ხის ჩხირი, რომელიც ღერძის ბოლოშია ჩარჭობილი, რათა ბორბალი არ გამოვარდეს) სტატუსისა ის გამარჯვების გოლიცაა, რომელიც მან ამასწინათ გაიტანა მილანურ დერბიში.

28 წლის კალაძე „მილანის“ მარაღმწვანე დაცვაში ჩვილივითაა — ის ამ რგოლში ერთადერთია, 30 წელს რომ არ არის გადაცილებული.

მეტსახელად „კავკასიის დესაიმ“ კარიერა „სან სიროზე“ მარცხენა მცველად დაიწყო. წინა სეზონში კი მას „ჩელსიში“ უპირებდნენ გასხვისებას, მაგრამ საქმე ჩაიშალა. კალაძემ ალბათ ხელახლა დაიწყო კარიერის გაკეთება „მილანში“. პაოლო მალდინის ტრავმამ მას შანსი მისცა, საყვარელ პოზიციაზე, დაცვის ცენტრში ეთამაშა. ეს მისი მისწრაფებაა.

„მარცხენა მცველად თამაშით კმაყოფილი ვიყავი. მაგრამ, როცა გავიგე ხმები იმის თაობაზე, რომ კლუბი ახალი ცენტრალური მცველის ყიდვას აპირებდა, საკუთარ თავს ვკითხე — ეს ხომ ის პოზიციაა, სადაც მირჩევნია თამაში. კარლო ანჩელოტიმ მითხრა, მოთმინება იქონიეო და მე მადლობელიც ვარ, შანსი რომ მომეცა. ახლა ყველამ ნახა, რისი მაქნისი ვარ. დაცვის გულში თამაში ფანტასტიკურია“ — ამბობს კალაძე.

ანჩელოტი კი იმდენად მოხიბლულია, რომ გადაიფიქრა თავისი საზაფხულო განზრახვა: „კალაძის სახემ დაცვაში დაგვარწმუნა, რომ შეგვეცვალა ჩვენი სტრატეგია სატრანსფერო ბაზარზე“.

*გაზეთი „გარდიანი“*

*იბეჭდება შემოკლებით*

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXX ტური

ალემანია 0:2 ბოხუმი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXIV ტური

ლორიანი 5:0 ბრესტი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXXI ტური

ბრაგა 2:3 ფერეირა

### ნორვეგია

ტიპელიგა. II ტური

ოდ გრენლანდი 0:0 მიოლდე

რუსენბორგი 3:0 სტარტი

სანდეფიორდი 2:1 ჰამ კამი

ტრომსიო 0:1 სტაბეკი

ვიკინგი 1:1 ფრედრიკსტადი

ლინი 2:1 ვოლერენგა

I დივიზიონი. II ტური

ალესუნდი 2:1 ჰაუგესუნდი

ფოლო 5:1 ოსლო

ჰიოდი 0:2 ბრინი

ჰიონეფოსი 1:2 სტრიომსგოდსეტი

ლოვ ჰამი 3:2 ბოდიო გლიმტი

მოსი 4:0 პორს გრენლანდი

სოგნდალი 3:0 ტრომსდალენი

სპარტა 3:0 კონგსვინგერი

### შვეიცარია

თასის ფინალი

იანგ ბოისი 1:1დ.დ.(პენ.3:5) სიონი

### ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. XXV ტური

პლზენი 1:1 ლიბერეცი

### რუსეთი

პრემიერლიგა. V ტური

დინამო 0:1 როსტოვი

### ინგლისი

პრემიერლიგა. XXXV ტური

ვესტ ბრომვიჩი 0:0 ბოლტონი



# მუჯირმა ყველას ხუთი ჯვარი დაანახვა

დავით მუჯირი რუსული პრემიერლიგის საუკეთესო პენალტისტად იქცა. ბოლო ორ ტურში ჩვენიანმა სამჯერ დაარტყა ზუსტად თერთმეტი მეტრიდან — „ზენიტთან“ დუბლის მერე „მუმუმ“ მოსკოვის „ტორპედოს“ 88-ე წუთზე გაუტანა, რითაც ანგარიში გაათანაბრა.

რუსმა ჟურნალისტმა მუჯირს მცირე ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც საუბარი 90-ე წუთზე გაფუჭებული მომენტით იწყება — 28 წლის ქართველს შეეძლო, „კრილიასთვის“ გამარჯვება მოეტანა.

„ამას ჩემ თავს ვერ ვაპატიებ, როგორ ავაცილე, ახლაც ვერ ვხვდები. ვფიქრობ, ფრე ლოგიკური შედეგი იყო, თუმცა მოგებაც შეგვეძლო და წაგებაც. მართალია, ბოლოს რომ გამეტანა, ასე არ ვილაპარაკებდი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, 88-ე წუთზე გავათანაბრეთ ანგარიში. ყველა შემთხვევაში სასიამოვნოა, რომ „კრილიამ“ სტუმრად გამონახა ძალა და ქულა იხსნა“.

ჟურნალისტი დავითს „ტორპედოსთან“ გოლის გატანის აღმნიშვნელ რიტუალზეც ეკითხება — ჩვენიანმა სათამაშო მაისურა აიწია და საქართველოს დროშა დაანახვა მთელ სტადიონს...

„მე ყოველთვის ასე აღვნიშნავ გოლს. უბრალოდ, წინა მატჩში პირველ ტაიმში გავიტანე და შემეშინდა, ყვითელი ბარათი არ მიმეღო. ვინ იცის, მეორე ნახევარში კიდევ მიმეღო გაფრთხილება და ხომ გამაძევებდნენ. ავსტრიის ჩემპიონატში ასეთ რიტუალს ხშირად ვაკეთებდი“ — თქვა მუჯირმა.

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის ნამატი არ არის — დროის ნამრავი არ არის

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

სიახლე ჯეოსელისგან ჯეო-მიქსი!

GEO *123#
ჯეო MIX მიქსი

აკრიფეთ
*123*9# YES

და
მომენტალურად
დაადგინეთ
მიმდინარე
საფეხბურთო
მატჩების ანგარიშები

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge

გენერალური სპონსორი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე წრე

## 25 ტური აქცენტები

შაბათის 8 მატჩის წინ როგორც ვიწინასწარმეტყველეთ, ყველა მომგებმა მეტ-ნაკლები სიძნელით მოიგო. შესაბამისად, ორ ლიდერს შორის ისევ სამქულიანი სხვაობაა, „სიონმა“ გორში „ცხინვალს“ აჯობა და ისევ თამამად დაჰყურებს სატურნირო ცხრილს. როგორც იქნა, ნავსი გატეხა და მოიგო „დინამომ“, საპრიზო ადგილისთვის მებრძოლთა მატჩში კი „ბორჯომმა“ „ამერი“ ბოლო წუთებზე წააქცია...

ცხინვალი 1:3 სიონი
ბორჯომი 2:1 ამერი
დინამო 2:1 ტორპედო
ვიტ ჯორჯია 2:0 სპარტაკი
სოხუმი 1:0 კოლხეთი
ზესტაფონი 3:0 ლოკომოტივი
კახეთი 1:3 ბათუმი
თბილისი 2:0 დილა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 25 | 19 | 4 | 2 | 45:16 | 61 |
| ვიტ ჯორჯია | 25 | 18 | 4 | 3 | 48:14 | 58 |
| ზესტაფონი | 25 | 15 | 6 | 4 | 37:19 | 51 |
| ბორჯომი | 25 | 16 | 2 | 7 | 43:21 | 50 |
| ბათუმი | 25 | 15 | 5 | 5 | 37:17 | 50 |
| დინამო | 25 | 15 | 4 | 6 | 41:19 | 49 |
| ამერი | 25 | 14 | 2 | 9 | 30:20 | 44 |
| ლოკომოტივი | 25 | 10 | 4 | 11 | 36:38 | 34 |
| კოლხეთი | 25 | 8 | 4 | 13 | 20:26 | 28 |
| კახეთი | 25 | 8 | 2 | 15 | 26:40 | 26 |
| დილა | 25 | 7 | 4 | 14 | 28:36 | 25 |
| ცხინვალი | 25 | 7 | 3 | 15 | 24:47 | 24 |
| ტორპედო | 25 | 6 | 6 | 13 | 22:33 | 24 |
| სოხუმი | 25 | 5 | 3 | 17 | 23:54 | 18 |
| თბილისი | 25 | 5 | 2 | 18 | 20:42 | 17 |
| სპარტაკი | 25 | 2 | 5 | 18 | 6:45 | 11 |

# ეს გონსალო ვინ ყოფილა...



გონსალო დე პორასი და დარიო სებალე

ორი წლის წინ თბილისის „ლოკომოტივში“ პერუელი ხუან დიეგო გონსალესი ბურთაობდა. ეტყობოდა იმ ბიჭს, დიდი ფეხბურთისთვის საჭირო მონაცემები რომ ჰქონდა, ერთი-ორი შეხვედრა საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა, მაგრამ აქ დიდხანს არ დარჩენილა...

რამდენიმე დღის წინ ცნობას მივაკვლიეთ: ხუან დიეგო ესპანურ „მალაგაში“ ჩაირიცხა და ეს კონტრაქტი ესპანელებს 2 მილიონ დოლარამდე დაუჯდათ. ბუნებრივია, ფული დიეგოს პერუულმა კლუბმა მიიღო.

ეს ისტორია „ბორჯომის“ არგენტინელმა ფორვარდმა გონსალო დე პორასმა გაგვახსენა. საქმე მხოლოდ ხუთ გოლში როდია — დე პორასი ბორჯომელთა ნამდვილ ლიდერად იქცა და ბევრის აზრით, საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფორვარდია. სწრაფი, პლასტიკური, ტექნიკური, ჟინიანი და მოაზროვნე არგენტინელი ადრე თუ გვიან დიდ ფეხბურთს აუცილებლად ითამაშებს. მთავარია, ამით ქართულმა ფეხბურთმაც იხეიროს. არადა, „ბორჯომთან“ კონტრაქტით, დე პორასს უკვე სეზონის ბოლოს შეუძლია შეკრას ბარგი, საგზლად საქართველოს ჩემპიონატში ნათამაშევი მატჩების ფირები გაიყოლოს და ბედი ნამდვილ ევროპაში ეძებოს.

ისარგებლებს ამით „ბორჯომი“? ყველაფერი კლუბის ხელმძღვანელობის მარიფათზე ჰკიდია, თორემ ვლადიმერ ხაჩიძე არგენტინელით აღფრთოვანების დამალვას არც ცდილობს...

# დინამომ ქუდი დაკარგა



რა დრო და დღე დასდგომია თბილისის „დინამოს“?! ქვეყნის 12-გზის ჩემპიონი წლეულს ჩემპიონობაზე ფიქრს ხომ უკვე შეეშვა და ახლა ისეა საქმე, პრიზიორობაც სანატრელი გაუხდა.

უჩვეობის გამო, ცოტა არ იყოს, ყურს ჭრის, თბილისის „დინამოს“ მწვრთნელის ნათქვამი: „ახლა ყველა თამაში უნდა მოვიგოთ და ჩემპიონატში რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ. საჩემპიონო რბოლას უკვე ჩამოვშორდით“ — ანდრეი ჩერნიშოვმა ეს გუშინწინ ქუთაისის „ტორპედოსთან“ მოგებული მატჩის შემდეგ თქვა.

მაქსიმალურად მაღალი ადგილი კი „დინამოსთვის“ მესამე პოზიცია თუ იქნება, თორემ თბილისელებს მეორეობის შანსიც, ფაქტობრივად, დაკარგული აქვთ. მესამე ადგილისთვის კი „დინამო“ ერთბაშად სამი გუნდის კონკურენციაშია და არა გვგონია, „ზესტაფონმა“, „ბორჯომმა“ და „ბათუმმა“ ჩერნიშოვის გუნდს მესამეობამდე გზაზე ფიანდაზი დაუფინონ.

# იმედი და ტალკვესი



„ვიტ ჯორჯიას“ აღარ ჰყავს ოთარ მარცვალაძე და ზამთარს აქეთ გოლების გრაფაში გვარიანად ჭაკობს. ზაზა სახოკია, ნიკა გელაშვილი და ვასილ ლუჭაშვილი აუარება მომენტს აფუჭებენ, თუმცა ვიტელებს მთავარმეგოლე კაცი უკანა ხაზში გამოუჩნდათ...

დავით იმედაშვილი მხოლოდ წლეულს დადგა მარცხენა საყრდენ ნახევარმცველად, მანამდე კი მარცხენა მცველი გახლდათ. იყოს ნახევარმცველი, განა ამ ამპლუის ფეხბურთელისთვის ცოტაა მეორე წრის 11 მატჩში 7 გოლი?! თან დააკვირდით, იმედაშვილის თითქმის ყველა გატანილი ფასეულია, გაჭირვების ტალკვესად ევლინება „ვიტ ჯორჯიას“ — ორჯერ „ლოკომოტივთან“, ორჯერ „ამერთან“, თითო-თითოჯერ „ზესტაფონთან“, „კოლხეთთან“, „სპარტაკთან“. გარჯაც დაუფასდა დავითს — რალფ მინგემ ხომ ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვია.

# არ გაჩერდე, არდალიონ!

საქართველოს მეკარეები უჭირსო, რომ ვთქვათ, ახალს ვიტყვით რამეს?! უჭირს და ამიტომაც გვხვდება თვალში რომელიმე ახალგაზრდა მეკარის თუნდაც ერთი სტაბილური თამაში, თუნდაც ერთი-ორჯერ აღებული „მკვდარი ბურთი“.



ბოლო დროს საიმედოდ ათამაშებულ რამდენიმე ახალგაზრდა მეკარეთაგან ერთი „ვიტ ჯორჯიას“ 19 წლის არდალიონ მიქაბერიძეცაა. ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდში, თანაც ასეთ საკვანძო მატჩებში ახალბედა რომ თავდაჯერებულად დგას კარში, მისაჩუმათებელი ამბავი სულაც არაა.

საქმე ისაა, რომ ვიტელთა ძირითადი მეკარე გრიგოლ ბედიაშვილი ტრავმის გამო ვერ თამაშობს და ბოლო შვიდი მატჩია, მის ნაცვლად მიქაბერიძე დგას — 6 გოლი კი გაუშვა, მაგრამ, მთავარი ისაა, რომ ნელ-ნელა უმატებს და ტრავმამოშუშებულ ბედიაშვილს სერიოზული კონკურენტი ხვდება.

სიმბოლური ნაკრები.

გონსალო დე პორასი — ბორჯომი
ზურაბ იონანიძე — ზესტაფონი
გოჩა ხოჯავა — თბილისი
ლადო ბურდული — დინამო
ლევან სანიკიძე — ბორჯომი
ვალერი გაგუა — სოხუმი
ლევან კვარაცხელია — თბილისი
დავით იმედაშვილი — ვიტ ჯორჯია
დავით ბაძრაძე — ბორჯომი
გიორგი თურმანიძე — ზესტაფონი
არდალიონ მიქაბერიძე — ვიტ ჯორჯია

გუნდი: თბილისი

მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 14-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 13-იონანიძე | ზესტაფონი |
| 12-მეგრელაძე | დინამო |
| მიქუჩაძე | სიონი |
| დვალი | სიონი/დინამო |
| 9-დოლიძე | სიონი/ამერი |
| დავითაშვილი | ამერი |
| ბობოხიძე | დინამო |
| სულთანიშვილი | დილა/ცხინვალი |
| 8-ქორიძე | ბორჯომი |
| ქუთათელაძე | კოლხეთი |
| დვალიშვილი | დინამო/ბათუმი |
| იმედაშვილი | ვიტ ჯორჯია |

მომდევნო ტური

19 აპრილი, ოთხშაბათი

ამერი – სოხუმი
კოლხეთი – კახეთი
დილა – ზესტაფონი
ლოკომოტივი – დინამო
ტორპედო – ცხინვალი
სიონი – ვიტ ჯორჯია
სპარტაკი – ბორჯომი
ბათუმი – თბილისი

# ყველა გზა ფოთში მიდის



საქართველოს ჩემპიონატში ლამის ყოველი მეორე შეხვედრა დგება ეჭვქვეშ, თუმცა ეს თემა კულუარულ საუბრებს იშვიათად გასცდენია. ეს იშვიათი შემთხვევა იყო „კოლხეთი“ — „ამერის“ სათასო მეოთხედფინალის შემდეგ პრესით გავრცელებული ინფორმაცია თამაშის სავარაუდო გარიგების შესახებ და იქვე კონკრეტული თანხაც იყო დასახელებული...

რა გამოვიდა? გაილანძღა ორი საფეხბურთო კლუბი და ქართულ ფეხბურთზე ისედაც გულაყრილ ხალხს კიდევ ერთი სალაპარაკო მიეცა... ერთადერთი ისინი დარჩნენ მოგებულნი, ხმებს რომ სათავე დაუდეს და მიზანსაც უწიეს.

ერთია ჟურნალისტური მოკვლევა, რომელიც საგაზეთო პუბლიკაციაში გამოთქმულ მოსაზრებებს გააქარწყლებს და მეორე — საკითხის იურიდიული მხარე. კომენტარისთვის საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ ადვოკატ *გოჩა სვანიძეს* მივმართეთ: „პუბლიკაცია მთლიანად ვარაუდებზეა აგებული. რა თქმა უნდა, ავტორს ამის სრული უფლება აქვს და იმ შემთხვევაშიც კი, თუ დააფიქსირებს, რომ ემხრობა ამ ვარაუდებს, მიდავება ძნელია. რაც მთავარია, ეს ვარაუდები მომხდარ ფაქტად არსად ფიქსირდება. ასეთ ვითარებაში, გავრცელებული ინფორმაცია შესაძლოა ჟურნალისტური პოლემიკის საბაბი გახდეს, მაგრამ სამართლებრივ განხილვას საფუძვლად ვერ დაედება“.

პუბლიკაციის ავტორმა „სარბიელისთვის“ გაკეთებულ კომენტარში განაცხადა, ხმები „ამერის“ მიერ „კოლხეთისთვის“ 50 ათასი ლარის შეთავაზების შესახებ ფოთში ყოფნისას იქაურებისგან გავიგეო. შესაბამისად, ჩვენი მოკვლევის ერთადერთ ლოგიკურ გაგრძელებად „კოლხეთის“ ქომაგებთან საუბარი მივვაჩნია. მზად ვართ, ნებისმიერ მათგანს, ასევე სხვა არაანონიმურ პიროვნებას დავუთმოთ საგაზეთო ფართი. ამგვარი წინადადებით მკითხველს რამდენიმე დღის წინაც მივმართეთ, რასაც არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

...და რადგან მთა არ მიდის მუჰამედთან...

# ნერგაძემ და კაშიამ თამაში დაიწყეს

გიორგი ნერგაძე და შოთა კაშია — ეს ნახევარმცველები თბილისის „დინამოს“ სეზონისწინა მოსამზადებელ ეტაპზე ისე დაუშავდნენ, რომ საოპერაციონი შეიქნენ. ნერგაძემ და კაშიამ მუხლის მყესების ოპერაცია გერმანიაში, შტუტგარტთან ახლოს ბუბლინგენის კლინიკაში გაიკეთეს შარშან ოქტომბერში.

დღეს კი 23 წლის ნერგაძემ და 21 წლის კაშიამ სარეაბილიტაციო პერიოდის შემდეგ ბრძოლის გემო გაიხსენეს: „დინამო 2“ — „ლიახვის“ პირველლიგურ შეხვედრაში უთამაშებლობით გამოწვეული პაუზა შეწყვიტეს.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს 17 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე წრე

XXIX ტური

17 აპრილი, ორშაბათი

თბილისი 2 0:1 მესხეთი
გურია 2:2 მალაროელი
იმედი 0:5 რუსთავი
მერანი 1:0 ამერი 2
ვიტ ჯორჯია 25:3 მეშახტე
საგარეჯო 0:0 ზესტაფონი 2
დინამო 2 6:1 ლიახვი
ზუგდიდი 0:2 მეშაქრე
გაგრა 0:0 ჩიხურა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 29 | 20 | 5 | 4 | 76:28 | 65 |
| მერანი | 29 | 19 | 5 | 5 | 47:21 | 62 |
| გაგრა | 29 | 16 | 9 | 4 | 39:18 | 57 |
| დინამო 2 | 29 | 16 | 6 | 7 | 52:22 | 54 |
| ამერი 2 | 29 | 14 | 7 | 8 | 37:21 | 49 |
| რუსთავი | 29 | 13 | 8 | 8 | 44:28 | 47 |
| მეშაქრე | 29 | 14 | 4 | 11 | 39:29 | 46 |
| მესხეთი | 29 | 13 | 6 | 10 | 39:27 | 45 |
| გურია | 29 | 12 | 5 | 12 | 41:38 | 41 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 29 | 11 | 5 | 13 | 35:36 | 38 |
| მეშახტე | 29 | 9 | 8 | 12 | 31:36 | 35 |
| თბილისი 2 | 29 | 9 | 8 | 12 | 25:34 | 35 |
| ზუგდიდი | 29 | 9 | 7 | 13 | 17:26 | 34 |
| მალაროელი | 29 | 9 | 5 | 15 | 35:51 | 32 |
| ზესტაფონი 2 | 29 | 8 | 7 | 14 | 22:40 | 31 |
| საგარეჯო | 29 | 7 | 8 | 14 | 26:38* | 29 |
| იმედი | 29 | 5 | 2 | 22 | 17:71 | 17 |
| ლიახვი | 29 | 4 | 1 | 24 | 21:79 | 13 |



# 180-გრადუსიანი დრამა

## ტრავმატული ფოტოფაქტი: ქვაჩახიას ფეხი ქაცვმა ჩახია

**ამ ფოტოზე** „ბორჯომი“ — „ამერის“ მატჩის 88-ე წუთია აღბეჭდილი. წამის წინ თბილისელთა მეკარე ზურაბ ქვაჩახიამ ბურთი კუთხურზე მოიგერია. თამაში უბუროთოდ გრძელდება: შოთა ჯიქია (№18) ორივე გაშლილი ფეხით ფეხზე ახტება ზურაბ ქვაჩახიას. ამგვარი თამაში მოედნის ცენტრშიც კი, სულ ცოტა, ყვითელ ბარათად „ფასობს“, მაგრამ თუკი ეს მეკარის წინააღმდეგ, მისსავე ბაქანში და უბურთოდ ხდება...



კადრში ჩანს მატჩის არბიტრი გიორგი ვადაჭკორიაც. ვერაფერს იტყვი — ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ არბიტრს იდეალური პოზიცია უკავია საიმისოდ, რათა ეპიზოდი სრულად აღიქვას და შესაბამისად შეაფასოს. ახლა კი მატჩის სტენოგრამას ჩავხედოთ: 88-ე წუთზე ზურაბ ქვაჩახიას წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის ჯარიმა არ დანიშნულა. გიორგი ვადაჭკორიამ კუთხური დანიშნა, რასაც „ამერის“ კარში იმავ ჯიქიას მიერ გატანილი გოლი მოჰყვა. „ბორჯომმა“ 2:1 გაიმარჯვა, ქვაჩახიას ტრავმა კი საკმაოდ სერიოზულია და უახლოეს შეხვედრებში გუნდს ვერაფრით დაეხმარება.

ამბობენ, მსაჯიც ჩვეულებრივი მოკვდავია და ხანდახან ცდებაო...

# ეროვნულზე ბურუსი ჩამოწვა



**ეროვნულ** სტადიონის რეაბილიტაციის საკითხი ჯერაც ბურუსითაა მოცული. სტადიონის 30-წლიანი მართვის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებული კონკურსის დასრულების ვადად ჯერ 10, შემდეგ კი 14 აპრილი დაითქვა. გუშინ მერიას ოფიციალურად უნდა გამოეცხადებინა კონკურსის შედეგი, რომელიც არა და არ ჩანს, ამასობაში კი, კომპანია „ნიუ სიტი“ ეროვნულ სტადიონზე ფორსირებული ტემპით აწარმოებს სამუშაოებს.

რა ხდება? კულუარებში უკვე გაჩნდა ვერსია, რომ შესაძლოა, მერიამ უარი უთხრას სპორტკლუბ „დინამოს“ სტადიონის გადაცემაზე და საკუთარი ძალებით გადაწყვიტოს მისი რესტავრაცია. პირველადი ინფორმაციით, სტადიონის წესრიგში მოყვანას 10-მილიონდოლარიანი ინვესტიცია სჭირდებოდა, რაც მერიის შესაძლებლობებს აღემატებოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ დაახლოებით სამი მილიონი დოლარი საკმარისია, რათა „ეროვნულმა“ საქართველო — საფრანგეთის 2 სექტემბრის შეხვედრას უმასპინძლოს. ჰოდა, შესაძლოა, სამი მილიონი დოლარი მერიისთვის გადაულახავ წინაღობას აღარ წარმოადგენს.

როგორც მოგახსენეთ, ზემოხსენებული ინფორმაცია კულუარულია, ოფიციალური განცხადების გაკეთებისგან ჯერჯერობით ყველა თავს იკავებს, 2 სექტემბრამდე კი არცთუ დიდი დროა...

**გიორგი ნოზაძე**

ნდობის ტელეფონი
(18 წლიდან)
(822) 42-55-44
822 006 005
822 006 099
„მაგთი“, „ჯეოსელი“ -1ლ
თბილისი - 0,65 ლ

# ქართველები უცხოეთში



ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნი“ „ლივერპულთან“ ჩაიკეცა

## ორი ქართველის ორი მხარე: ლიგა ნაპოვნი და დაკარგული

*ამ უქმეების გმირი, რა თქმა უნდა, კახა კალაძეა* — „მილანის“ ქართველმა მცველმა 70-ე წუთზე ერთადერთი და ულამაზესი გოლი გაუტანა „ინტერს“, რამაც იტალიაში გვარიანი ხმაური გამოიწვია. „მადონინა“ მთელ ევროპაში ისედაც გამორჩეული დერბია და მით უფრო სასიამოვნოა, ამ შეხვედრის ბედი ჩვენებურმა რომ გადაწყვიტა.

*ზედიზედ მესამე პრემიერლიგური გოლი გაიტანა დავით მუჯირმა.* სამარის „კრილია სოვეტოვის“ ქართველი ახალწვეული სადებიუტო სეზონს მართლაც შესანიშნავად ატარებს და უკვე გუნდის ბომბარდირადაც იქცა. ეგაა, მისმა გოლმა „კრილიას“ ოდენ ქულა მოუტანა მოსკოვის „ტორპედოსთან“ მატჩში.

*რუსეთში სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი მატჩიც გაიმართა და დაბეჩავებულმა „ლოკომოტივმა“ მოულოდნელად 3:2 მოუგო თანაქალაქელ ცესკას.* ქართველთაგან არავის უთამაშია — *მალხაზ ასათიანი* ჯერაც ტრავმას იშუშებს, *გიორგი ჭელიძე* კი სათადარიგო იყო.

აი, დისკვალიფიკაციამოხდილმა *გოგიტა გოგუამ* კი საგოლე პასით გამოიჩინა თავი — „ნალჩიკმა“ სტუმრად აართვა ქულა „მოსკვას“, თუმცა მოგებასთანაც ძალიან ახლოს იყო.

*საგოლე პასი გააკეთა ლევან კობიაშვილმაც.* „შალკემ“ ბოლოხანს თამაშს უკლო და ქულების მოპოვება ძალიან უჭირს. ასე იყო „კიოლნთან“ მატჩშიც — გელზენკირხენელები თავიდან აგებდნენ და მე-80 წუთზეღა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება: კობიაშვილმა ზლატან ბაირამოვიჩს გაატანინა.

*ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნმა“ უპრინციპულესი მატჩი წააგო შინ „ლივერპულთან“* და შეიძლება ითქვას, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას ჩამოშორდა. სტუმრებმა რობი ფაულერის კინკილათი იმარჯვეს, ხიზანიშვილმა კი სრულად ითამაშა და ინგლისელ ჟურნალისტთა თქმით, საკმაოდ კარგადაც.

*კვიპროსის ჩემპიონატში ისევ კლიმენტი წიტაიშვილი გამოირჩა* — „ანართოსისმა“ 2:1 მოუგო „აპოპს“ და გადამწყვეტი ბურთი სწორედ წიტაიშვილმა შეაგდო.

*უიღბლოდ დაიწყო ჩემპიონატი ქართველების „სკონტომ“* — ორ ტურში ერთი ქულა რიგელებისთვის რიგიანი შედეგი სულაც არაა და სატურნირო ცხრილშიც სენსაციურ მეხუთე ადგილზე არიან. „სკონტომ“ ვერაფერი მოუხერხა ერთ დროს უპირველეს მეტოქე „ვენტსპილსს“ და 0:1 წააგო. სამივე ქართველი — *ზაალ ელიავა, ზურაბ მენთეშაშვილი* და *დავით ჩალაძე* ძირითადში იყვნენ.

**ბაჩა შალამბერიძე**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
### ჩვენი მეტოქე

## შოტლანდია მზისკენ მიდის

**ევრო 2008-ის** შესარჩევში საქართველოს ნაკრების მეტოქე შოტლანდია „კირინის თასზე“ ითამაშებს. ეს ტრადიციული ტურნირი იაპონიაში ტარდება და წლეულს მასპინძელთა და შოტლანდიელთა გარდა ბულგარეთიც მონაწილეობს.

უოლტერ სმიტის შეგირდები 11 მაისს შეხვდებიან ბულგარელებს, ხოლო 13 მაისს იაპონიასთან მოსინჯავენ ძალებს.

**ბაჩა შალამბერიძე**



უოლტერ სმიტი

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ინტერი 1:0 | 90 | 1 გოლი | 24 | 2 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | კიოლნი 1:1 | 90 | საგოლე პასი | 28 | 2 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | შ | ვერდერი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 14 | 0 | 15 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ალენი 0:0 | 90 | | 23 | 4 | 6 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | ალენი 0:0 | 90 | | 6 | 0 | 6 |
| დავით სირაძე | აუე | შ | მიუნხენი 3:0 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 4 | 8 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | შ | კილი 2:2 | 90 | | 22 | 2 | 5 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | ს | ბაიერნი (მ) 3:1 | 0 | | 18 | 12 | 7 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | ლივერპული 0:1 | 90 | | 22 | 0 | 6 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ბაზელი | ს | ქსამაქსი 5:1 | 6 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 3 | 1 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | ჰერენვენი 4:2 | 0 | | 28 | 22 | 2 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | გრონინგენი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 9 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ცსკა 3:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 12 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | შ | ცსკა 3:2 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 12 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | შ | ცსკა 3:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 12 |
| მიხეილ აშვეთია | რუბინი | შ | სპარტაკი 2:0 | 62 | შეცვალეს | 5 | 0 | 2 |
| გიორგი ქინქლაძე | რუბინი | შ | სპარტაკი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 2 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | სპარტაკი 2:0 | 90 | | 4 | 0 | 2 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | შ | სპარტაკი 2:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 2 |
| ზურაბ არზიანი | რუბინი | შ | სპარტაკი 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ბექა ყლენტი | ტორპედო | შ | კრილია 1:1 | 0 | | 0 | 0 | 13 |
| დავით მუჯირი | კრილია | ს | ტორპედო 1:1 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 4 | 3 | 6 |
| გიორგი ლომაია | ლუჩ-ენერგია | ს | ზენიტი 1:3 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 15 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | ს | მოსკვა 1:1 | 70 | საგოლე პასი, შეცვალეს | 3 | 0 | 5 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | შ | სიბირი 0:1 | 66 | შეცვალეს | 2 | 1 | 4 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | შ | დნიპრო 0:2 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | შ | დნიპრო 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ზაკარპატიე 2:0 | 44 | შეცვალეს | 8 | 2 | 8 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | ს | ზაკარპატიე 2:0 | 90 | | 6 | 0 | 8 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | შ | ვოლინი 1:0 | 0 | | 20 | 6 | 6 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | შ | ხარკოვი 1:0 | 90 | | 16 | 0 | 3 |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი | შ | ხარკოვი 1:0 | 90 | | 6 | 0 | 3 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | ს | მ. დონეცკი 2:3 | 90 | | 22 | 7 | 14 |
| ალეკო ამისულაშვილი | ტავრია | ს | ვორსკლა 3:2 | 90 | | 6 | 0 | 9 |
| ირაკლი ქორთუა | ტავრია | ს | ვორსკლა 3:2 | 0 | | 0 | 0 | 9 |
| ჯაბა კანკავა | არსენალი | ს | სტალი 0:1 | 35 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 0 | 15 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | შ | არსენალი 1:0 | 90 | | 23 | 2 | 13 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | კალითეა 1:2 | 90 | | 22 | 0 | 6 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | ვენტსპილსი 0:1 | 90 | | 2 | 0 | 5 |
| ზაალ ელიავა | სკონტო | ს | ვენტსპილსი 0:1 | 90 | | 2 | 0 | 5 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | ვენტსპილსი 0:1 | 90 | | 2 | 0 | 5 |
| თამაზ პერტია | დიტონი | ს | დიუვანაგი 3:0 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | აპოპი 2:1 | 0 | | 17 | 7 | 4 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | ს | აპოპი 2:1 | 90 | 1 გოლი | 21 | 6 | 4 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | აპოპი 2:1 | 0 | | 5 | 0 | 4 |
| ამირან მუჯირი | ანართოსისი | ს | აპოპი 2:1 | 90 | | 9 | 2 | 4 |
| ლევან ქებაძე | აშნა | ს | აპეპი 2:0 | 90 | | 18 | 7 | 11 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი გოგიაშვილი | ვოსტოკი | ს | კაირატი 0:0 | 67 | შეცვალეს | 2 | 0 | 11 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | ს | ქაისარი 1:0 | 90 | | 2 | 0 | 5 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ნახევარფინალი. პირველი მატჩი

### მილანის ბოლო ათი საშინაო მატჩი

| | | |
|---|---|---|
| მილანი — ინტერი | 1:0 | სA |
| მილანი — კიევო | 4:1 | სA |
| მილანი — ლიონი | 3:1 | ჩლ |
| მილანი — ფიორენტინა | 3:1 | სA |
| მილანი — ბაიერნი | 4:1 | ჩლ |
| მილანი — ემპოლი | 3:0 | სA |
| მილანი — კალიარი | 1:0 | სA |
| მილანი — ტრევიზო | 5:0 | სA |
| მილანი — სამპდორია | 1:1 | სA |
| მილანი — პალერმო | 1:0 | ით |

სA — სერია A,
ჩლ — ჩემპიონთა ლიგა,
ით — იტალიის თასი

## მილანი (იტალია) – ბარსელონა (ესპანეთი)

მილანი. „სან სირო“. მსაჯი: ალან სარსი (შვეცარია)

დიდა — კაფუ, ნესტა, კალაძე, მალდინი — გატუზო, პირლო, ზეედორფი — კაკა — შევჩენკო, ჯილარდინო

ვალდესი — ოლეგერი, პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი — ვან ბომელი, ედმილსონი — ინიესტა, ჟიული — რონალდინიო, ეტოო

დისკვალიფიცირებულნი

| | |
|---|---|
| არავინ | დეკო (1 მატჩი) |

### ბარსელონას ბოლო ათი მატჩი სტუმრად

| | | |
|---|---|---|
| რასინგი— ბარსელონა | 2:2 | პდ |
| ბენფიკა— ბარსელონა | 0:0 | ჩლ |
| მალაგა — ბარსელონა | 0:0 | პდ |
| სოსიედადი — ბარსელონა | 0:2 | პდ |
| ოსასუნა — ბარსელონა | 2:1 | პდ |
| სარაგოსა — ბარსელონა | 0:2 | პდ |
| ჩელსი — ბარსელონა | 1:2 | ჩლ |
| ვალენსია — ბარსელონა | 1:0 | პდ |
| მალიორკა — ბარსელონა | 0:3 | პდ |
| სარაგოსა — ბარსელონა | 4:2 | ეთ |

პდ — პრიმერადივიზიონი,
ჩლ — ჩემპიონთა ლიგა,
ეთ — ესპანეთის თასი





# კარლო ანჩელოტიმ რონალდინიო გააბუა

## ქერა შავი ეშმაკი, შესანიშნავი ქართველი და მთელი იტალია ბარსელონას წინააღმდეგ

**გრანდიოზული** სანახაობა იქნება დღეს „სან სიროზე“. მას შემდეგ, რაც ნახევარფინალში „მილანი“ — „ბარსას“ გარდაუვალობა გაირკვა, იტალიაში და კატალონიაში ბევრმა შემოიკრა სინანულით თავში ხელი. ცხადია, აჯობებდა, მათი შერკინება პარიზში, ფინალში ყოფილიყო. თუმცა ტიტანთა ბრძოლას ეშხი და ლაზათი არც ნახევარფინალში დააკლდება. თუ რაიმე საწყაული არ მოხდა, წინ ფანტასტიკური ორრაუნდიანი ბრძოლა გველის. გრანდებს კი ერთმანეთისა სჯერათ. მილანში ამბობენ, რომ თუ „ბარსა“ მათ დაამარცხებს, თასს სწორედ რაიკარდის გუნდი მოიგებს. კატალონიელებსაც, ფიასკოს შემთხვევაში, ლიგის მთავარ ფალავნად „როსონერი“ დაუსახელებიათ.

„სან სიროზე“ „ბარსელონას“ თავს ყველაზე მეტად ანდრეი შევჩენკო ასტკიებსო, ეწერა გუშინ ესპანურ მედიაში. ალბათ მართლებიც არიან პირინეელი ჟურნალისტები, უკრაინელს შავი ეშმაკი (BESTIA NEGRA) რომ შეარქვეს. შევჩენკო ხომ მსოფლიომ მაშინ გაიცნო, როცა 1997 წლის 5 ნოემბერს კიევის „დინამოს“ 21 წლის ფორვარდმა „კამპ ნოუზე“ ვან გაალის „ბარსელონას“ სამი გოლი გაუტანა. ის მატჩი „დინამომ“ 4:0 მოიგო, ხოლო კატალონიელთა მაშინდელმა უფროსობამ მწარედ ინანა, ეს რა ვქენით, უკრაინელის ტრანსფერი რა ეშმაკმა ჩაგვაშლევინაო. შეგახსენებთ, რომ 1997-ის ზაფხულში კიევიდან ბარსელონაში სლავის გადაბარგებას წინ თითქოს არაფერი ედგა, მაგრამ ვან გაალმა დაიჟინა, რუსები სუსტები არიან და... მოკლედ, ლუის ვან გაალი მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას ცუდად იცნობს, შევჩენკო კი „მილანშია“ და ბდღვნის ყველაფერს. მან საამსეზონო ლიგაში 9 გოლი გაიტანა და ვან ნისტელროის თორმეტიან რეკორდამდე სულ რაღაც სამი გოლი აშორებს. საერთოდ, უკრაინელს ევროსარბიელზე 56-ჯერ გაუტანია. უეფას ოფიციალურ ტურნირებში მთავარმეგოლე „ბაიერნის“ ლეგენდა გერდ მიულერი გახლავთ და თუ ანდრეიმ მეკარეები კიდევ ექვსჯერ ააწიოკა, საკლუბო დონეზე ევროტურნირების ისტორიაში ამ რეკორდსაც გაიმეორებს. იგი განსაკუთრებით ესპანურ გუნდებზეა დაგეშილი, BESTIA NEGRA-მ „ბარსას“, „რეალს“ და „დეპორტივოს“ თერთმეტი გოლი გაუტანა. მეორე ადგილზე თურქული კლუბები არიან, რომელთაც ათჯერ შეუგდო, თუმცა ეს უკვე სხვა თემაა და დღევანდელ ჯახს არ ეხება. შევჩენკო შესანიშნავ ფორმაშია, კატალონიელებთან მატჩს დაღლილი არ ხვდება („ინტერთან“ თამაშში მაინცდამაინც არ მოუკლავს თავი) და „ბარსას“ მცველებმაც მშვენივრად იციან, მეტოქის ლიდერს ოდნავ გასაქანი თუ მისცეს, „საჩუქრად“ მაშინვე გოლს მიიღებენ...

რაც შეეხება „მილანის“ მეორე თავდამსხმელს, ფილიპო ინძაგის, მას გრიპი აწუხებს. თამაშამდე ორი დღით ადრე სიცხემ ორმოცამდე აუწია და... „სან სიროზე“ პიპოს ვერ ვიხილავთ. ინძაგიმ მეოთხედფინალში „ლიონი“ „შეჭამა“ და, ცხადია, ნახევარფინალის პირველ თამაშში მისი არყოფნა „მილანს“ ძალიან დაეტყობა.

მთელი ესპანეთი კალაძითაა მოხიბლული. გადასებულია იქაური გაზეთები ქართველის ქება-დიდებით. მას მერე, რაც ჩვენებურის გოლმა სერია A-ს მატჩში „ინტერი“ დაასამარა, პირინეელთა სპორტულ მედიას სულ MAGNI FICO KALADZE (შესანიშნავი კალაძე) აკერია პირზე. „მილანის“ დაცვის ცენტრში ბრწყინვალე კალაძე და ნესტა თამაშობენ. სწორედ ისინი აჩერებენ არასტაბილური დიდას გოლებისგან დაფარვას“ — წერდა გუშინდელი „მარკა“. განაპირა მცველი კაფუ კი გვარიანად დაიტანჯება, რადგან რონალდინიოს დევნა მოუწევს. „მილანს“ სანქცირებულები არ ჰყავს და რაიკარდის გუნდთან ომს კარგ გუნებაზე ხვდება — იტალიის ჩემპიონატში მოსისხლე „ინტერი“ გაკრა ბეჭებზე ერთი ძან აბავიც: სრულიად იტალია ახლა მარტო ერთ გუნდს ქომაგობს. ტიფოზებმა თავიანთი „იუვენტუსი“, „რომა“, ლაციო“ და სხვები დაივიწყეს და „ბარსელონას“ წინააღმდეგ „როსონერის“ ფანთა არმიას შეუერთდნენ. ქვეყანა ისეა აჟიტირებული, არავის გაუკვირდება, „ბარსასთან“ თამაშში „ინტერის“ ქომაგები შავ-წითელი მაისურებით რომ მოვიდნენ სტადიონზეო, იტალიურ ტელეარხზე თქვეს გუშინ...

„ბარსელონას“ ტრავმირებულები — ჩავი, მესი და ჰენრიკ ლარსონი ვერ დაეხმარებიან. ასევე ვერ ითამაშებს დაჯარიმებული დეკოც, კატალონიელთაგან ერთადერთი, რომელსაც ჩემპიონთა თასის მონადირების სიხარული განუცდია. რონალდინიოს მცირე ტრავმა აწუხებდა, მაგრამ დროულად გამოჯანმრთელდა და ჩვეული ღიმილითაც უთხრა ჟურნალისტებს, „მილანის“ მცველებს შავ დღეში ჩავაგდებო... რონის ხსენებაზე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ორივე გუნდში ბლომად ბრაზილიელები არიან — რონალდინიო, ბელეტი, ედმილსონი, დიდა, კაფუ, კაკა... ეს ხალხი ცოტა ხანში გერმანიის მუნდიალზე ნაკრების გამარჯვებისთვის ერთად იომებს, ახლა კი მტრულ ბანაკებად დაყოფილან. მარკ ვან ბომელმა წინა სეზონში ნახევარფინალი „მილანთან“ წააგო, ოღონდ მაშინ ჰოლანდიელი პსვ-ში გახლდათ და დღეს იქადნება, უკეთეს გუნდში ვარ, იტალიელებს ძველ წყენას ცხვირში ამოვადენო.

წყენა კი, აბა, ის იყო, „მილანმა“ 1994-ში ლიგის ფინალში 4:0 რომ მოუგო „ბარსელონას“. ვან ბომელის პირადი გულისტკივილი ნაძლევა ამასთან შედარებით...

„მითხრეს, რომ კარლო ანჩელოტი თავის ფეხბურთელებს რონალდინიოს სურათს აჩვენებს და მათი საბრძოლო სულის გაღვიძებას ასე ცდილობს. რაღაც არ მგონია, ჩემმა მეგობარმა ასეთი სისულელე გააკეთოს. პირადად მე მილანელების გასამხნევებლად გასახდელში „ბარსას“ დიდ სურათს ჩამოვკიდებდი — მსოფლიოს საუკეთესო გუნდი საუკეთესო მოთამაშეების ცქერამ უნდა აღაფრთოვანოს“ — განაცხადა „მილანის“ ძველმა ლეგენდამ და ამჟამად „ბარსას“ თავკაცმა რაიკარდმა მედიასთან საუბარში.

**ლადო ხომერიკი**





ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიოს თასი

## გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006

## E ჯგუფი
## იტალია, განა, აშშ, ჩეხეთი

# სიგარიანი ვიარეჯოდან



ტოტი და ლიპი

**რამდენიმე** წლის წინ, სანამ გველეშაპი რუსული საფეხბურთო არხების სათავესთან დასახლდებოდა და სოფელ საქართველოს მოსახლეობას თამაშების ცქერის საშუალებას მოუსპობდა, მავანმა გადამთიელმა ტელეჟურნალისტმა ეკრანიდან იკითხა, ნეტავ იტალიური ფეხბურთი და „სკუადრა აძურა" გრუზიაში გამორჩევით რატომ უყვართო. მას, მაშინ, პასუხი ვერავინ გასცა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არც აქვს, რადგან ხსენებულ საკითხს ახლა არ ვიკვლევთ და თქვენს ყურადღებას მხოლოდ რუსი ჟურნალისტის მეხსიერებაში ჩარჩენილ კითხვაზე ვაჩერებთ.

მაშ ასე, ფაქტია, რომ თუკი საქართველოში ათწლეულების მანძილზე რომელიმე ქვეყანას ქომაგობენ, ერთ-ერთი მათგანია მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი იტალია, რომელზეც ამბობენ, თუკი ოთხგზის ჩემპიონობა სურს, ამაზე გერმანიაში უნდა იზრუნოს, რადგან ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავსო.

იტალიამ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული პირველად და მეორედ, მეორე და მესამე მუნდიალებზე, 1934 და 1938 წლებში მოიპოვა. ორივე შემთხვევაში „სკუადრა აძურას" ვიტორიო პოცო წვრთნიდა. 1934-ის ჩემპიონატი ფაშისტურ იტალიაში ჩატარდა, 1938-ისა კი საფრანგეთში. მესამედ იტალიელებმა 1982 წელს, ესპანეთში იზეიმეს მსოფლიოს ჩემპიონობა. მაშინ გუნდს ენცო ბეარზოტი ედგა სათავეში.

2004 წლიდან იტალიელთა თავკაცი „იუვენტუსის" ყოფილი მწვრთნელი მარჩელო ლიპი გახლავთ. სწორედ ლიპიმ დაიწყო დღევანდელი გუნდის ჩამოყალიბება, რისთვისაც მრავალი ახალი მოთამაშის მიწვევა მოუხდა. სანაკრებო ფეხბურთს 2004 წლის შემდეგ ცხრა ახალი ფეხბურთელი ეზიარა და ამ ცხრა კაცმა ერთად 15 გოლი გაიტანა. სულ, შესარჩევ შეჯიბრებაში, იტალიელებმა სლოვენიელებთან პირველი თამაშის წაგების შემდეგ, შვიდი მოიგეს და ორი ფრედ დაასრულეს. მათი მეტოქეები ძლიერთაგან ნორვეგია და შოტლანდია გახლდნენ.

გერმანია 2006 „სკუადრა აძურასთვის" მე-16 მუნდიალი იქნება ანუ, სხვა სიტყვებით, იტალიელებს მხოლოდ ერთი, 1958 წლის ჩემპიონატი აქვთ გამოტოვებული.

* * *

*მწვრთნელი:* მარჩელო ლიპი სიგარების მოყვარული კაცია. ის 1948 წლის 11 აპრილს ვიარეჯოში დაიბადა, 1969 წელს კი პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერა დაიწყო. უთამაშია „სავონაში", „სამპდორიასა" და „პისტოიეზეში". მწვრთნელობას, რომელმაც სახელი და დიდება მოუტანა, 1982 წელს მიჰყო ხელი. თავიდან „სამპდორიას" ყმაწვილთა გუნდში სინჯა ძალა, შემდეგ კი დაბალი ლიგების გუნდებში იმუშავა. 1989 წელს სერია A-მდეც ამაღლდა და „ჩეზენამ" მიიპატიჟა.

1994 წელს მარჩელო ლიპი „იუვენტუსში" მივიდა და მყისვე გაირკვა, რომ ახლა ნაღდად შინ იყო. ხუთი სკუდეტო, იტალიის თასი, იტალიის ოთხი სუპერთასი, ჩემპიონთა თასი, ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი, აი, ტიტულები, რომლებიც „იუვეშ" სიგარიანი მაესტროს ხელმძღვანელობის პერიოდში დააწყო დიდების დარბაზში. ჩემპიონთა ლიგის კიდევ სამჯერ მოგებაც შეიძლებოდა, მაგრამ ლიპისეულმა „ბებერმა ქალბატონმა" „რეალთან", „დორტმუნდთან" და „მილანთან" ფინალები წააგო.

* * *

*კაპიტანი:* ფაბიო კანავარო ნეაპოლელია, 1973 წლის 13 სექტემბერსაა დაბადებული. ძალიან საინტერესოა, რომ ცენტრალური მცველის კვალობაზე კანავარო გვარიანად დაბალია — 173 სანტიმეტრი. მას უთამაშია „ნაპოლიში", „პარმაში" და „ინტერში", ახლა კი „იუვენეტუსშია". მას ნაკრების მაისურა 90-ზე მეტჯერ მოურგია.

* * *

*შესარჩევი ეტაპის ვარსკვლავი:* ლუკა ტონი, 1977 წლის 16 მაისს, მოდენას სიახლოვეს, პავულო ნელ ფრინიანოში დაბადებული „ფიორენტინას" თავდამსხმელი. მან კარიერა, ბუნებრივია მოდენაში დაიწყო. ეს იყო 1994 წელს. „მოდენას" შემდეგ ტონი გადავიდა „ტრევიზოში", სადაც სულ სხვა ყურადღება მიიპყრო და 1999 წელს თავი უკვე სერია A-ს „ვიჩენცაში" ამოყო. „ვიჩენცას" შემდეგ კი ტონის არნახულად გაუმართლა, მისით „ბრეშა" დაინტერესდა, რისი წყალობითაც მან ორი სეზონი დიდი რობერტო ბაჯოს მხარდამხარ ითამაშა. მერე იყო „პალერმო", სადაც მან უამრავი გოლი გაიტანა და „ფიორენტინას" მოაწონა თავი. ფლორენციელებმა მასში 10 მილიონი ევრო გადაიხადეს.

შარშან, 7 სექტემბერს, ტონი გახდა „ფიორენტინას" პირველი წარმომადგენელი, რომელმაც ნაკრებში ჰეთ თრიქი შეასრულა, ახლახან კი კლუბის რეკორდიც დაამყარა, ერთ სეზონში 28 გოლი შეაგდო, რითაც თვით გაბრიელ ბატისტუტას გადაასწრო.

*ახლანდელი ვარსკვლავი:* ძნელია ვარსკვლავებით სავსე იტალიაში ერთი ვარსკვლავი გამოჰყო, მაგრამ მოდი ხერხს მივმართოთ: მარჩელო ლიპისა და ფაბიო კაპელოზე დიდი ავტორიტეტი თანამედროვე მსოფლიო ფეხბურთში ვის აქვს, ჰოდა ამ ორმა კაცმა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ინტერვიუში გენიოსი ერთსა და იმავე კაცს უწოდა. ვერ გეტყვით, სიტყვა გენიოსს იტალიურადაც ქართულის მაგვარი მნიშვნელობა აქვს თუ არა, მაგრამ ის ზუსტად შეგვიძლია გითხრათ, რომ ორივე მწვრთნელმა ეს ეპითეტი „რომას" კაპიტნისთვის, ამ ზამთარს დაშავებული ფრანჩესკო ტოტისთვის გაიმეტა.

ტოტი 27 სექტემბერს 30 წლისა ხდება. ის თავდამსხმელების უკან და ნახევარმცველების წინ თამაშობს. მის მშობლებს ჰქვიათ ენცო და ფიორელა. ბავშვობაში ფეხბურთს დიდ ბიჭებს ეთამაშებოდა და უგებდა. ცნობილია, როგორც გაუნათლებელი ადამიანი, რომელსაც სასაცილო ამბები შეემთხვევა ხოლმე. თავად დააგროვა ეს ამბები და ორი წიგნი გამოსცა, შემოსავალი კი უპატრონო ბავშვთა ფონდში გადარიცხა. მისი მეუღლე ყოფილი მოდელია, ილარი ბლაზი ჰქვია და ტელევიზიაში მუშაობს. ტოტი ამბობს, რომ ფეხბურთს მასზე უკეთ მისი ძმა რიკარდო თამაშობდა. რიკარდო ახლა ფრანჩესკოს აგენტია.



ლუკა ტონი

* * *

*ლეგენდა:* იტალიური ფეხბურთის ისტორიაში უამრავი დიდი ვარსკვლავი ყოფილა, მაგრამ ვინაიდან „სკუადრა აძურა" გერმანიაში ჩემპიონობას უმიზნებს, აქ პაოლო როსი გავიხსენოთ, რომელმაც 1982 წელს 6 გოლი შეაგდო, აქედან სამი ბრაზილიის უძლიერესი ნაკრების კარში და ჩემპიონობაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. შეგახსენებთ, რომ მაშინდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე როსი ციხიდან ახალგამოსული წაიყვანეს, ციხეში კი ტოტალიზატორთან კორუფციული გარიგების გამო იჯდა.



* * *

\+ ყველა პოზიციაზე ძლიერი ფეხბურთელი თამაშობს, თავდასხმაში კი მრავალთაგან ცოტაა ასარჩევი.

* * *

— მოთამაშეთა ძალიან ფართო არჩევანმა ლიპის შესაძლოა, რომელიმე უარყოფილთან ურთიერთობის პრობლემა შეუქმნას.

* * *

*აზრი:* „იტალიას ყველა პირობა აქვს მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდეს. მათ საუკეთესო თავდამსხმელები ჰყავთ, რასაც ტრადიციულად ძლიერი დაცვა ემატება" — ჯანკარლო გალავოტი, „გაძეტა დელო სპორტი"

### იტალიის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 12 ივნისი | იტალია — განა | ჰანოვერი |
| 17 ივნისი | იტალია — აშშ | კაიზერსლაუტერნი |
| 22 ივნისი | ჩეხეთი — იტალია | ჰამბურგი |

### იტალიის გზა ფინალური ეტაპისაკენ

| | | |
|---|---|---|
| 04.09.2004 | იტალია — ნორვეგია | 2:1 |
| 08.09.2004 | მოლდოვა — იტალია | 0:1 |
| 09.10.2004 | სლოვენია — იტალია | 1:0 |
| 13.10.2004 | იტალია — ბელარუსი | 4:3 |
| 26.03.2005 | იტალია — შოტლანდია | 2:0 |
| 04.06.2005 | ნორვეგია — იტალია | 0:0 |
| 03.09.2005 | შოტლანდია — იტალია | 1:1 |
| 07.09.2005 | ბელარუსი — იტალია | 1:4 |
| 08.10.2005 | იტალია — სლოვენია | 1:0 |
| 12.10.2005 | იტალია — მოლდოვა | 2:1 |

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 10 | 7 | 2 | 1 | 17:8 | 23 |
| ნორვეგია | 10 | 5 | 3 | 2 | 12:7 | 18 |
| შოტლანდია | 10 | 3 | 4 | 3 | 9:7 | 13 |
| სლოვენია | 10 | 3 | 3 | 4 | 10:13 | 12 |
| ბელარუსი | 10 | 2 | 4 | 4 | 12:14 | 10 |
| მოლდოვა | 10 | 1 | 2 | 7 | 5:16 | 5 |



# ასეთი ადრიანო არ გვიყვარს

**მილანურ** დერბიში დამარცხებამ „ინტერის“ ისედაც არეული ბანაკი უარესად არია: ადრიანომ გუნდიდან წასვლა დაიქადნა, ხოლო პრეზიდენტმა ჯაჩინტო ფაკეტიმ დაადასტურა, რომ ეს შეიძლება მართლაც მოხდეს.

„მე „ინტერის“ ფეხბურთელი ვარ და კლუბის ფერებს გულით ვატარებ — განაცხადა ბრაზილიელმა „გუიდა ალ კამპიონატოსთან“ საუბრისას — მაგრამ თუ გულშემატკივარს აღარ ვუნდივარ, მითხრან პირში და წავალ. გული მერევა იმ ხალხზე, რომელიც წაგების შემთხვევაში ყველაფერს მე მაბრალებს, არადა, ცნობილია, რომ ნებისმიერ შედეგზე მთელი გუნდია პასუხისმგებელი“.

მეორე მხრივ, ადრიანო, იგივე „იმპერატორე“, პირადი პრობლემების გამო ამ სეზონში მართლა ძალიან ცუდად თამაშობს. აბა, სხვა რა უნდა ითქვას თავდამსხმელზე, რომელმაც 2006 წელს სამ თვეში სამ გოლზე მეტი ვერ გაიტანა.

ცნობილია, რომ ესპანეთში, „ვილიარეალთან“ სათამაშოდ ჩასული „ინტერის“ რიგებში ჩხუბიც მოხდა, ადრიანო ხუან ვერონს ეჩხუბა.

„სამწუხაროდ, ცხოვრებაში ძნელი დღეებიც დგება და ასეთ დროს ხედავ, ვინ არის შენი ნამდვილი მეგობარი. ბოლო ორთვენახევარია, ძალიან ცუდი პერიოდი მაქვს, არადა, ის ფეხბურთელი გახლავართ, რომელიც თუ იცინის და კარგ გუნებაზეა, მოედანზე აბსოლუტურად ყველაფერი გამოსდის“ — განმარტა ადრიანომ.

და რა უნდა მოიმოქმედოს ასეთ დროს კლუბმა? ლოგიკა გვკარნახობს, რომ ასეთ დროს კლუბი თავის წევრს მხარში უნდა ამოუდგეს, მაგრამ პრეზიდენტი ჯაჩინტო ფაკეტი, ცხოვრებას თურმე სხვანაირად უყურებს:

„ბედნიერება ყველამ თავისთვის შეინახოს. არავინ ამბობს, რომ ადრიანო უნდა წავიდეს, მაგრამ ჩვენ ისეთი ადრიანო გვიყვარს, რომელსაც ვიცნობდით და თუ ის დაგვიბრუნდება, დავიტოვებთ“.

თუ „ინტერი“ ადრიანოს გაყიდის, მასში 35 მილიონ გირვანქას, ალბათ, „ჩელსი“ გადაიხდის.

**ბაპუნა ძიდია**

# მოაბრუნებს დევიდი გაქცეულ ესპანელს?

## ენა გამოყავი, წავიკითხავთ



**ინგლისის** ნაკრებისა და „რეალის“ ნახევარმცველი დევიდ ბექემი ვერა და ვერ სწავლობს ესპანურს, არადა, უკვე სამი წელიწადია, მადრიდში ცხოვრობს. ამასწინათ ბექემი BBC2-მა მიიწვა გადაცემაში, რომელსაც „ოქროს კაცი“ ჰქვია. გადაცემის წამყვანმა დევიდს ესპანურად რაიმეს თქმა სთხოვა. ფეხბურთელმა ძალიან მოინდომა, რამდენიმე სიტყვა ძლივს მიაბა ერთმანეთს და განაცხადა, რომ მისი ესპანური სულ ეს იყო.

„აუცილებლად ვისწავლი ესპანურს — დაიქადნა ბექემმა — უბრალოდ, დრო მჭირდება“.

შეგახსენებთ, რომ დევიდ ბექემი „რეალში“ „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ 2003 წელს გადავიდა, მაგრამ გუნდში იმდენად კოსმოპოლიტური ვითარება დახვდა, რომ ენის სწავლა არც დასჭირვებია და შეიძლება არც დასჭირდეს, რადგან, როგორც ამბობენ, მომავალი სეზონიდან ისევ პრემიერლიგის რომელიმე გუნდში დაბრუნდება. თუმცა, ვნახოთ.

**ბაპუნა ძიდია**

# გრძელზე უფრო გრძელი



**„არსენალის“** მთავარ მწვრთნელ არსენ ვენგერს ძალიან უნდა „ცრვენა ზვეზდას“ აყლაყუდა ფორვარდ ნიკოლა ჟიგიჩის შეძენა. როგორც ირკვევა, „მეთოფეები“ აქამდე მალულად აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ბელგრადელებთან და ვენგერი იმედოვნებს, რომ ტრანსფერი მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე მოხერხდება. ფრანგი მწვრთნელი შიშობს, რომ მუნდიალის მერე დიდი შანსია, ჟიგიჩის ფასი გაორმაგდეს. ახლა კი სერბები მასში დაახლოებით 7 მილიონ გირვანქას ითხოვენ.

ცნობილია, რომ ვენგერს თავის დროზე პიტერ კრაუჩის მიყვანა უნდოდა. ჟიგიჩი კი კრაუჩზე მაღალია, 202 სანტიმეტრია და მსოფლიოში ამხელა ფეხბურთელები თითებზე ჩამოსათვლელნი არიან. გარდა ამისა, „არსენალის“ მწვრთნელს მიაჩნია, რომ 25 წლის სერბი ტექნიკურობითაც სჯობს, იმავე კრაუჩს.

ჟიგიჩი ახლახან სერბეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, ბოლო სამ წელიწადში მეორედ. მისი შეძენა კი სხვა კლუბებთან ერთად „არსენალის“ თანაქალაქელ „ვესტ ჰემსაც“ სურს. „ჩაქუჩებმა“ ცოტა ხნის წინ „ცრვენა ზვეზდას“ 10 მილიონი ევრო შესთავაზეს, მაგრამ უარი მიიღეს.

**გიორგი ძაძამიძე**

# ვიყიდოთ მძიმე ხასიათი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაურო კამორანეზი

**მაურო** ხერმან კამორანეზი მომავალ სეზონში შესაძლოა, მიუნხენის „ბაიერნში“ ვიხილოთ. მართალია, მას „იუვენტუსთან“ 2009 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი, მაგრამ უკვე დიდი ხანია, ამბობენ, მარჯვენა გარემარბის „დელე ალპიდან“ წასვლა გადაწყვეტილიაო. იგი მიმდინარე სეზონში კარგად ვერ თამაშობს და მძიმე ხასიათის გამო ურთიერთობა ფაბიო კაპელოსთანაც დაეძაბა და კლუბის ხელმძღვანელებთანაც.

სარფიანი წინადადების მიღების შემთხვევაში, „იუვენტუსის“ შეფობა კამორანეზის გაყიდვაზე ბევრს არ იმკითხავებს, რადგანაც „დელე ალპიზე“ პარმელი მარკო მარკიონის გადასვლა გადაწყვეტილია. მარკიონის კი მარჯვენა ფლანგზე თამაში მშვენივრად შეუძლია და თან ფორვარდობასაც ითავსებს ხოლმე.

აპენინური მედიის ცნობით, „ბაიერნის“ მწვრთნელ ფელიქს მაგათს კლუბის ხელმძღვანელობისთვის უთქვამს, ეგებ კამორანეზი [illegible] და მიუნხენელებიც მალე დაიწყებენ „იუვენტუსთან“ მოლაპარაკებას. ტურინელთა ნახევარმცველის სახელს „მილანს“, „ინტერს“ და „რეალსაც“ უკავშირებდნენ, თავად ფეხბურთელი კი თავის მომავალზე კომენტარს ჯერ არ აკეთებს.

**გიორგი ძაძამიძე**



# ბარტეზი იებით

**სებასტიან** ფრეი, რომელსაც მუხლის ტრავმის გამო სეზონის დიდი ნაწილი გაუცდა, ზაფხულში „ფიორენტინადან“ ეგებ მილანის „ინტერში“ დაბრუნდეს. „ნეროაძურის“ ვეტერანი მეკარეები — ხულიო სეზარი და ფრანჩესკო ტოლდო — მთლად დამაჯერებლად ვერ თამაშობენ. რობერტო მანჩინიც იძულებულია, ძირითად შემადგენლობაში ხან ერთი დააყენოს, ხანაც მეორე და საიმედო გოლკიპერს ეძებს. ასეთად კი 26 წლის ფრანგი მიაჩნია.

ფრეი „პარმას“ საკუთრებაა, მაგრამ „ენიო ტარდინიზე“ დაბრუნებას არ აპირებს. მით უმეტეს, რომ მისით სხვა ევროპული გრანდებიც დაინტერესდნენ, მათ შორის „მანჩესტერ იუნაიტედი“, „არსენალი“ და „ბარსელონა“. ვთქვათ ისიც, რომ სერია A-ში ფრანგის კარიერა სწორედ „ინტერში“, 1998 წელს დაიწყო.

ფლორენციის „ფიორენტინა“ კი მის სანაცვლოდ ვეტერანი ფაბიენ ბარტეზის გადაბირებას აპირებს. 34 წლის ფეხბურთელს ზაფხულში „მარსელთან“ კონტრაქტის ვადა გასდის და თავისუფალი აგენტი ხდება. „არტემიო ფრანკის“ ბინადრებიც ამით ისარგებლებენ. „იებმა“ ტრავმირებული ფრეის ნაცვლად იანვარში „აიაქსისგან“ ბოგდან ლობონტი კი იყიდეს, მაგრამ მან ვერ გაამართლა, ხოლო ბარტეზში „ფიორენტინას“ ლონდონის „ვესტ ჰემი“ შეეცილება.

**ძოძი ძანდელაძი**

რეკლამა
სარბიელ–ში
ტელ: 38-11-14, 877 54 55 00

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### XXXV ტური

**ჩელსი 3:0 ევერტონი**

1:0 ლამპარდი (28), 2:0 დროგბა (62), 3:0 ესიენი (74)

ჩელსი: ჩეხი (კუდიჩინი 46), ჯერემი, ტერი, გალასი, დელ ორნო, მაკელელე, ლამპარდი, ესიენი, რობენი (ჯ. კოული 62), კრესპო (შ. რაიტ-ფილიპსი 75), დროგბა

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

ევერტონი: რ. რაიტი, გ. ნეისმიტი, ფ. ნევილი, ვეირი, იობო, ტ. ჩეპილი, კარსლი, კილბეინი (დ. ფერგიუსონი 70), ოსმანი, ბიტი (საიმონ დევისი 69), მაკფადენი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაძევება: კარსლი (47)

მსაჯი: სტაილზი

41 765 მაყურებელი

**ტოტენჰემი 1:2 მანჩესტერი**

0:1, 0:2 რუნი (8, 36), 1:2 ჯენასი (53)

ტოტენჰემი: პ. რობინსონი, სტალტერი, დოუსონი, დევენპორტი, ი. ლი, კარიკი, დავიდსი (დენი მერფი 71), ჯენასი, ა. ლენონი (ბარნარდი 78), რობი კინი, დეფო

მწვრთნელი: მარტინ იოლი

მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, სილვესტრი, რონალდუ (ვ. ბრაუნი 90), ოში, გიგზი, პარკი, ვან ნისტელროი, რუნი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: ვიდიჩი, სტალტერი

მსაჯი: ჰალსი

36 141 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:0 ვესტ ჰემი**

1:0 ჰასელბაინკი (41), 2:0 მაკარონე (573)

მიდლსბრო: შვარცერი, რიგოტი, კედრუ, ბეიტსი, უიტერი, დორივა, ე. ჯონსონი (ე. ტეილორი 76), პარლოუ, ჰასელბაინკი (ჯ. კენედი 72), ვიდუკა (კრისტი 46), მაკარონე

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ჯ. კოლინზი, გაბიდონი, კონჩესკი, მალინსი, ნიუტონი, რეო-კოკერი, სკალონი (კ. ფლეტჩერი 66), ჰერვუდი (ეშტონი 66), კატანი (ზამორა 66), შერინგემი

მწვრთნელი: ალან პერდიუ

გაფრთხილება: შერინგემი

მსაჯი: ატკინსონი

27 658 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:4 ნიუკასლი**

1:0 ჰოიტი (32), 1:1 ჩოპრა (60), 1:2 შირერი (613), 1:3 ნზოგბია (66), 1:4 ლუკე (87)

სანდერლენდი: კელვინ დევისი, ს. კოლდუელი, ჰოიტი, გ. მაკკარტნი, დ. კოლინზი, ლოურენსი, ტ. მილერი, უიტჰიდი, კ. ბრაუნი, დერილ მერფი (არკა 64), სტიდი (კილი 68)

მწვრთნელი: მიკ მაკარტი

ნიუკასლი: გივენი, კარი, კ. მური, ბრამბლი, ბაბაიარო, კ. დაიერი, კლარკი (ჩოპრა 59), ამდი ფეიე, ნზოგბია (ბუმსონგი 88), შირერი (ლუკე 71), სოლანო

მწვრთნელი: გლენ როიდერი

გაფრთხილება: კლარკი, მაკკარტნი, ბრამბლი

მსაჯი: ფოი

40 032 მაყურებელი

**ჩარლტონი 2:1 პორტსმუთი**

0:1 დალესანდრო (40), 1:1 ბ. ჰიუზი (76), 2:1 დ. ბენტი (83)

ჩარლტონი: მირე, ჰრეიდარსონი, პაუელი, სორონდო, სპექტორი (სანკოფა 38), ჰოლანდი, ბ. ჰიუზი, კიშიშევი, მ. ბენტი (ბოტროიდი 25), დ. ბენტი, ტომა (ამბროზი 46)

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

პორტსმუთი: კაილი, პამარო, პრიმუსი, პრისკე, მეთიუ ტეილორი, დალესანდრო, შ. დევისი, რ. ჰიუზი (რუტლეჯი 84), გ. ონილი, მვარუვარი, ს. ტოდოროვი (კარადასი 78)

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

გაფრთხილება: კარადასი, დ. ბენტი

მსაჯი: ვები

25 419 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი — ბოლტონი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

**უიგანი — ასტონ ვილა**

*დღეს გაიმართება*

**ბირმინგემი — ბლექბერნი**

*ხვალ გაიმართება*

**სიტი — არსენალი**

*4 მაისს გაიმართება*

# მომეცით ქულა და კარგად იყავით





**„ჩელსიმ“** იოლად მოუგო „ევერტონს“, რომელსაც მეორე ტაიმის დასაწყისში დროგბასთან უხეშობისთვის ლი კარსლი გაუძევეს. ჩელსელებს დარჩენილ სამ ტურში ერთი ქულაღა სჭირდებათ ჩემპიონობისთვის და ჟოზე მაურინიუს გუნდს ეს არ უნდა გაუჭირდეს, მიუხედავად იმისა, რომ სამიდან ერთი მატჩი „მანჩესტერთან“ ელის. „სამივე თამაშში ჩვენი დამარცხება იოლი არაა ისევე, როგორც „მანჩესტერისთვის“ დარჩენილი სამი მატჩის მოგება, მაგრამ მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები, როცა ერთ ქულას ავიღებთ“ — თქვა მაურინიუმ.

„ჩელსი“ ლამპარდმა დროგბას პასით დააწინაურა, შესვენების შემდეგ კი კაცნაკლულ „ევერტონს“ თითო-თითო დროგბამ და ესიენმაც გაუტანეს.

პრემიერლიგიდან უკვე გავარდნილი „სანდერლენდი“ „ნიუკასლთან“ დაწინაურდა, მაგრამ მეორე ტაიმში სტუმრებმა გაილაღეს და მასპინძლები დააწიოკეს. „ჯორდებმა“ ექვს წუთში სამი გაიტანეს, ხოლო მეოთხე ალბერტ ლუკემ შეაგდო, რომელსაც ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდა. ნიუკასლელებმა გაიხარეს, მაგრამ შირერი დაუშავდათ და ამან დასწყვიტათ გული. კაპიტანი ხომ სეზონის ბოლოს ფეხბურთიდან მიდის და „სანდერლენდთან“ თამაში, შესაძლოა, მისთვის ბოლო გამოდგეს პრემიერლიგაში.

უეინ რუნის საუცხოო თამაშის წყალობით, „მანჩესტერმა“ სძლია „ტოტენჰემს“. „ჩვენ აუცილებლად უნდა მოგვეგო „ტოტენჰემთან“. შევძელით კიდეც და დარჩენილ სამ თამაშშიც გვმართებს გამარჯვება“ — თქვა „იუნაიტედის“ კაპიტანმა გარი ნევილმა.

გასულ პარასკევს „მანჩესტერმა“ შინ „სანდერლენდს“ რომ ვერ მოუგო, ფერგიუსონმა განაცხადა, რუნის ასე ცუდად ამ სეზონში არ უთამაშიაო. 20 წლის ფორვარდმა მწვრთნელის კრიტიკას „ტოტენჰემის“ კარში გატანილი ორი გოლით უპასუხა. რუნიმ მერვე წუთზე კრიშტიანუ რონალდუს პასით გაიტანა, მანამდე კი რობი კინს შეეძლო მასპინძელთა დაწინაურება, მაგრამ ვან დერ სარმა არ დაანება. პირველი ტაიმის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე „ტოტენჰემის“ კორეელი ლი საჯარიმოდან ბურთის მოშორებისას შეცდა. მას მანჩესტერელმა პარკმა ხელი შეუშალა, ბურთი კი უეინ რუნისთან აღმოჩნდა, რომელმაც მეორე გოლი შეაგდო.

შესვენების მერე დამხვდურებმა გასათანაბრებლად გაიწიეს და მალევე შეძლეს ერთის გაქვითვა. კუთხურის ჩაწოდების შემდეგ სტუმართა კარის წინ შექმნილი არეულობით ჯენასმა ისარგებლა და სხვაობა შეამცირა.

„ძალიან სამწუხაროა, რომ ერთი ქულაც ვერ ავიღეთ. მომდევნო მატჩი „არსენალთან“ უმნიშვნელოვანესი იქნება და იქ უნდა მოვიგოთ“ — თქვა „ტოტენჰემის“ თავკაცმა მარტინ იოლმა.

**ვაჟა ხუციშვილი**



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 35 | 28 | 4 | 3 | 69:21 | 88 |
| მანჩესტერი | 35 | 24 | 7 | 4 | 68:31 | 79 |
| ლივერპული | 35 | 22 | 7 | 6 | 49:22 | 73 |
| ტოტენჰემი | 35 | 17 | 10 | 8 | 50:35 | 61 |
| არსენალი | 34 | 17 | 6 | 11 | 57:27 | 57 |
| ბლექბერნი | 34 | 16 | 6 | 12 | 45:40 | 54 |
| ნიუკასლი | 35 | 15 | 6 | 14 | 43:42 | 51 |
| ვესტ ჰემი | 35 | 14 | 7 | 14 | 49:52 | 49 |
| ბოლტონი | 33 | 13 | 9 | 11 | 43:38 | 48 |
| უიგანი | 34 | 14 | 6 | 14 | 39:43 | 48 |
| ჩარლტონი | 35 | 13 | 8 | 14 | 40:45 | 47 |
| ევერტონი | 34 | 13 | 5 | 16 | 29:45 | 44 |
| მიდლსბრო | 34 | 12 | 7 | 15 | 47:55 | 43 |
| სიტი | 34 | 12 | 4 | 18 | 40:41 | 40 |
| ასტონ ვილა | 34 | 9 | 12 | 13 | 37:47 | 39 |
| ფულემი | 34 | 11 | 6 | 17 | 43:55 | 39 |
| პორტსმუთი | 35 | 8 | 8 | 19 | 32:57 | 32 |
| ბირმინგემი | 34 | 7 | 8 | 19 | 26:48 | 29 |
| ვესტ ბრომვიჩი | 34 | 7 | 7 | 20 | 29:52 | 28 |
| სანდერლენდი | 33 | 2 | 5 | 26 | 20:59 | 11 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 22 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 21 |
| დ. ბენტი (ჩარლტონი) | 17 |

**XXXVI ტური**

22-23 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | : | ტოტენჰემი |
| ასტონ ვილა | : | სიტი |
| ბლექბერნი | : | ჩელსი |
| ბოლტონი | : | ჩარლტონი |
| ევერტონი | : | ბირმინგემი |
| ფულემი | : | უიგანი |
| მანჩესტერი | : | მიდლსბრო |
| ნიუკასლი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| პორტსმუთი | : | სანდერლენდი |
| ვესტ ჰემი | : | ლივერპული |

**ჩემპიონატი**

**XLIV ტური**

ბრაიტონი — უენსდი 0:2; ბარნლი — კრ. პალასი 0:0; ქოვენთრი — ლესტერი 1:1; ქრიუ — კარდიფი 1:1; დერბი — ჰალი 1:1; ნორვიჩი — ქუინზ პარკი 3:2; პლიმუთი — ლუთონი 1:2; პრესტონი — ვულვზი 2:0; რედინგი — სტოკი 3:1; საუთჰემპტონი — მილუოლი 2:0; უოტფორდი — იფსვიჩი 2:1 შეფილდი — ლიდსი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რედინგი | 44 | 30 | 12 | 2 | 96:30 | 102 |
| შეფილდი | 43 | 25 | 10 | 8 | 73:44 | 85 |
| უოტფორდი | 44 | 21 | 14 | 9 | 75:52 | 77 |
| პრესტონი | 44 | 19 | 19 | 6 | 56:29 | 76 |
| ლიდსი | 43 | 20 | 14 | 9 | 55:35 | 74 |
| კრ. პალასი | 44 | 20 | 12 | 12 | 65:46 | 72 |
| ვულვზი | 44 | 14 | 19 | 11 | 47:41 | 61 |
| კარდიფი | 44 | 16 | 12 | 16 | 57:55 | 60 |
| ლუთონი | 44 | 17 | 8 | 19 | 64:65 | 59 |
| ნორვიჩი | 44 | 17 | 8 | 19 | 54:63 | 59 |
| ქოვენთრი | 44 | 14 | 15 | 15 | 58:64 | 57 |
| საუთჰემპტონი | 44 | 12 | 19 | 13 | 46:48 | 55 |
| სტოკი | 44 | 16 | 7 | 21 | 49:61 | 55 |
| ბარნლი | 44 | 14 | 11 | 19 | 45:52 | 53 |
| პლიმუთი | 44 | 12 | 17 | 15 | 37:44 | 53 |
| იფსვიჩი | 44 | 13 | 14 | 17 | 50:64 | 53 |
| ლესტერი | 44 | 12 | 15 | 17 | 50:57 | 51 |
| ჰალი | 44 | 12 | 14 | 18 | 48:54 | 50 |
| დერბი | 44 | 10 | 20 | 14 | 53:63 | 50 |
| ქუინზ პარკი | 44 | 12 | 14 | 18 | 48:61 | 50 |
| უენსდი | 44 | 12 | 12 | 20 | 36:51 | 48 |
| ქრიუ | 44 | 8 | 15 | 21 | 53:83 | 39 |
| ბრაიტონი | 44 | 7 | 17 | 20 | 38:65 | 38 |
| მილუოლი | 44 | 7 | 16 | 21 | 32:58 | 37 |

**პირველი ლიგა**

**XLIII ტური**

ბარნსლი — საუთენდი 2:2; ბრენტფორდი — ბლეკპული 1:1; ბრისტოლი — ოლდემი 2:1; კოლჩესტერი — ტრანმერი 1:0; დონკასტერი — უოლსოლი 1:0; ჯილინგემი — ბრედფორდი 2:1; დონსი — ჰარტლპული 2:1; ნოტინგემი — იოვილი 2:1; პორტ ვეილი — ბორნმუთი 0:0; სკანთორპი — სუინდონი 1:2; სუონსი — როტერჰემი 0:2. ჰადერსფილდი — ჩესტერფილდი დღეს გაიმართება

**მეორე ლიგა**

**XLIII ტური**

ბარნეტი — მანსფილდი 1:0; ბოსტონი — ოქსფორდი 1:0; ბერი — ჩესტერი 0:0; კარლაილი — ნოტსი 2:1; ჩელტენემი — დარლინგტონი 1:1; ლეიტონი — გრიმზბი 0:0; მაკლსფილდი — ტორკი 0:2; ნორთჰემპტონი — სტოკპორტი 2:0; როჩდეილი — პიტერბორო 1:0; რექსჰემი — როვერსი 1:0; უიკომბი — ლინკოლნი 0:1. შრუსბერი — რაშდენი დღეს გაიმართება

**კონფერენსლიგა**

**XL ტური**

აქრინგტონი — სკარბორო 1:0; ალდერშოტი — გრეისი 0:3; დაგენემი — ქენვი 2:2; ფორესტ გრინი — ექსეტერი 0:0; გრეივსენდი — უოკინგი 2:0; ჰერეფორდი — ტემვორთი 1:0; კიდერმინსტერი — კემბრიჯი 1:0; მორკემბი — ალტრინჩემი 2:0; სტივენიჯი — ქროული 2:1; იორკი — ჰალიფაქსი 0:2. ბარტონი — საუთპორტი დღეს გაიმართება



# რაული და რონალდო ბუტრაგენიომ დააბა

**მადრიდის** „რეალის“ ფორვარდები — რაული და რანალდო კარიერას მომავალ წელსაც სამეფო გუნდში გააგრძელებენ. ამის შესახებ „რეალის“ ვიცე-პრეზიდენტმა, ემილიო ბუტრაგენიომ განუცხადა ესპანურ მედიას. „ამბობენ, რომ რაულის შეძენით „ლივერპულია“ დაინტერესებული, თუმცა ინგლისიდან ამ საკითხზე არავინ დაგვკავშირებია. ბოლო ხანებში რაულს ბევრს აკრიტიკებენ, თუმცა უნდა შეიგნონ, რომ რთული პერიოდი ცხოვრებაში ყველას შეიძლება დაუდგეს. დარწმუნებულ ვარ, გონსალეს ბლანკო თავის დიდებას დაიბრუნებს... რონალდო მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდია და „რეალში“ კონტრაქტით კიდევ ორი წელი უნდა დარჩეს. რაულისა და რონალდოს წასვლაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია“ — აღნიშნა ბუტრაგენიომ.

„რეალის“ ჩინოსანმა ანტონიო კასანოზეც ილაპარაკა. იტალიელი ხომ იშვიათად ჩნდება სამეფო გუნდის ძირითად შემადგენლობაში. „კასანო ძალიან ნიჭიერია, თუმცა ჩვენ მისგან უფრო მეტს ველით. რაულს ოპერაცია სჭირდებოდა და კასანოს ტრანსფერი ამიტომ განხორციელდა. ანტონიო ახლა მინდორზე მცირე ხნით გადის. ძირითადში მისი დაყენება მწვრთნელის საქმეა, ჩვენ კი ლოპეს კაროს საქმეში ჩარევა არ გვსურს“ — თქვა მადრიდული გრანდის დიდმოხელემ.

**ლადო ხომერიკი**

# ოლა ბობოლებს: თავი დაგვანებეთ



ჟან მიშელ ოლა

**მას მერე,** რაც „ლიონმა“ საფრანგეთის რეკორდი დაამყარა და ზედიზედ მეხუთედ გახდა ჩემპიონი, კლუბის პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ „ეკიპთან“ საუბარში აღნიშნა, რომ მთავარ ფეხბურთელებთან განშორებას არ აპირებს. პირიქით, „ლიონი“ შეეცდება, უფრო მეტად გაძლიერდეს.

ჟან-მიშელ ოლა: „ჩვენ უკვე საკმაოდ გამოცდილი და წარმატებული კლუბი გვყავს, რომელშიც მაღალი კლასის მრავალი ფეხბურთელია. ცხადია, ევროპული გრანდები ეცდებიან „ლიონის“ მოთამაშეების შეძენას, მაგრამ ლიდერებთან განშორებას არ ვაპირებთ, ჩემი მიზანი მათთან კონტრაქტების გახანგრძლივებაა“.

სავარაუდოდ, ევროპული ბობოლა კლუბების მთავარი სამიზნეები ორი ნახევარმცველი, ბრაზილიელი ჟუნინიო და მალელი მაჰამადუ დიარა იქნებიან. „ლიონის“ ფეხბურთელების დატაცებას გასულ ზაფხულსაც ცდილობდნენ, მაგრამ ოლა მაშინაც ამ პოზიციაზე იყო და ერთადერთი, ვისი შენარჩუნებაც ვერ შეძლო, მიკაელ ესიენი გახლავთ. განელში „ჩელსიმ“ 38 მილიონი ევრო გადაიხადა.

დიდი ხანია, საუბრობენ იმაზეც, რომ ზაფხულში „ლიონს“ „ანდერლეხტის“ 19 წლის ვარსკვლავი ვინსენ კომპანი მიაშურებს. ფრანგები მასში 16 მილიონ ევროს გადაიხდიანო, მაგრამ ოლამ ეს ინფორმაცია არ დაადასტურა.

„არ არის გამორიცხული, კომპანი მართლაც გადმოვიდეს ჩვენთან, თუმცა ჯერ მის კლუბთან არ გვისაუბრია და 16 მილიონიანი ტრანსფერიც მოგონილია. თანაც, ეს ფასი ასეთი ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ძალიან დიდია“ — დასძინა „ლიონის“ პრეზიდენტმა.

დაბოლოს, უკვე მესამე წელია, „ლიონი“ ჩემპიონთა ლიგას მეოთხედფინალიდან ეთიშება და მომავალ სეზონში კლუბი ევროპაში უფრო წარმატებულად გამოსვლას გეგმავს. ამისთვის კი ოლა ზაფხულში ერთი მაღალი კლასის ფორვარდის შეძენას ეცდება, რომელიც გუნდს აშკარად აკლია. კანდიდატებზე ჯერ არ საუბრობენ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# თვითმფრინავი ჩელსის მომავალი მწვრთნელისთვის



**რუსეთის** ნაკრების მწვრთნელი გუს ჰიდინკი მსოფლიოს უდიდეს ქვეყანაში კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ, ალბათ, „ჩელსის“ ჩაუდგება სათავეში. ეს ცნობა ბრიტანულმა გაზეთმა „სანდი მირორმა“ გაავრცელა. გაზეთი წერს, რომ საკუთრივ ჰიდინკის თქმით, რუსეთის ნაკრების სათავეში მისი მისვლა ლონდონური კლუბის მეპატრონემ, ჩუკოტკის გუბერნატორმა რომან აბრამოვიჩმა გაჩარხა.

„მე „ჩელსის“ ხალხს და თავად აბრამოვიჩს ვხვდებოდი. სწორედ აბრამოვიჩის დამსახურებაა, რუსეთის ნაკრებთან კონტრაქტი რომ გავაფორმე“ — ამბობს ჰოლანდიელი, რომელიც სამშობლოში ცხოვრებას, ოღონდ რუსეთში ხშირად ჩასვლას აპირებს. ირკვევა, რომ აბრამოვიჩი საამისოდ ჰიდინკს საგანგებო თვითმფრინავს უქირავებს.

„სანდი მირორი“ ამბობს, რომ ყველაფერთან ერთად „ჩელსისა“ და ჰიდინკს შორის არის შეთანხმება, რომლის თანახმადაც კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ მწვრთნელი ლონდონში ჩავა სამუშაოდ.

**პაპუნა ქედია**

## დანია

### სუპერლიგა XXVIII ტური

სილკებორგი — ჰორსენსი 2:1; ოლბორგი — ოდენსე 0:0; კოპენჰაგენი — სიონდერისკე 4:1; ნორდსიელანდი — მიდტიულანდი 2:2; ვიბორგი — ორჰუსი 2:2; ბრონდბიუ — ესბიერგი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 27 | 20 | 5 | 2 | 57:22 | 65 |
| ბრონდბიუ | 28 | 20 | 3 | 5 | 55:25 | 63 |
| ვიბორგი | 28 | 13 | 8 | 7 | 52:37 | 47 |
| ოდენსე | 28 | 13 | 7 | 8 | 41:26 | 46 |
| ესბიერგი | 28 | 10 | 5 | 13 | 36:37 | 35 |
| ნორდსიელანდი | 27 | 8 | 9 | 10 | 42:44 | 33 |
| მიდტიულანდი | 28 | 8 | 9 | 11 | 36:47 | 33 |
| სილკებორგი | 28 | 9 | 6 | 13 | 26:42 | 33 |
| ოლბორგი | 28 | 7 | 11 | 10 | 40:41 | 32 |
| ჰორსენსი | 28 | 6 | 13 | 9 | 24:35 | 31 |
| სიონდერისკე | 28 | 4 | 7 | 17 | 34:62 | 19 |
| ორჰუსი | 28 | 3 | 9 | 16 | 32:57 | 18 |

### I დივიზიონი. XXI ტური

ფრემი — ლიუნგბიუ 2:4; ფრემადი — აკადემისკი 3:2; იოლსტრუპ — ვაილე 2:0; სკიოლდი — ფრედერისია 1:0; ბრაბრანდი — ბრიონსჰიოი 2:1; ჰერფიოლგე — კოლდინგი 1:1; ჰელერუპი — ნიკიობინგი 1:5; რანდერსი — კოგე 1:1

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა XXIII ტური

დებრეცენი — რეაკი 6:1; ტატაბანია — ვაშაში 2:2; ფეჰერვარი — პეჩი 1:0; ჰონვედი — დიორი 3:2; ლომბარდ პაპა — მტკ 1:3; შოპრონი — დიოშდიორი 2:1; ზალაეგერსეგი — კაპოშვარი 0:1; ფერენცვაროში — უიპეშტი 1:2

## ირლანდია

### პრემიერდივიზიონი. VI ტური

ბოჰემიანსი — სენტ პატრიკსი 0:0; ბრეი — კორკი 0:0; დროჰედა — დუბლინი 1:0; შელბურნი — დუბლინ სიტი 1:0; ლონგფორდი — დერი 0:1; სლიგო — უოტერფორდი 3:1

## ბრაზილია

### სერია A. I ტური

ჟუვენტუდე — პარანა 1:0; ვასკუ და გამა — ინტერნასიონალი 1:1; ბოტაფოგო — ფორტალეზა 1:0; გრემიო — კორინთიანსი 2:0; სან კაეტანო — კრუზეირო 2:1; სან პაულუ — ფლამენგო 1:0; ატლ. პარანენსე — ფლუმინენსე 1:2; გოიასი — სანტოსი 0:0; პალმეირასი — პონტე პრეტა 2:3; სანტა კრუზი — ფიგეირენსე 0:0

## შვედეთი

### ალსვენსკა. III ტური

გიოტებორგი — ჰელსინგბორგი 2:2; კალმარი — გაის 1:2; იოსტერსი — ელფსბორგი 3:4; აიკ — იორგრიტე 2:1; გეფლე — ჰეკენი 0:4; ჰალმსტადი — იურგორდენი 0:0; მალმიო — ჰამარბი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიკ | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 7 |
| ჰამარბი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| გაის | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ჰეკენი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:1 | 5 |
| ელფსბორგი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| მალმიო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ჰელსინგბორგი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| გიოტებორგი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| იურგორდენი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ჰალმსტადი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| გეფლე | 3 | 0 | 2 | 1 | 4:8 | 2 |
| კალმარი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| იოსტერი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:8 | 1 |
| იორგრიტე | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

### სუპერეტა. I ტური

იონკოპინგი — ბრომაპოიკარნა 3:2; მიალბი — ლიუნგსკილე 1:2; სუნდსვალი — ატვიდაბერგი 0:0. ტურის დანარჩენი მატჩები დღეს გაიმართება

## ხორვატია

### ნაციონალლიგა პლეი ოფი. V ტური

ოსიეკი — კამენი 1:0; ვარტექსი — რიეკა 1:0; ჰაიდუკი — დინამო 1:0

### ნაციონალლიგა პლეი აუტი. V ტური

ინტერი — პულა 1:4; სლავენი — ზაგრები 3:0; ციბალია — მედიმურიე 0:0

## არგენტინა

### კლაუსურა. XV ტური

ინსტიტუტო — ოლდ ბოისი 1:2; არგ. ხუნიორსი — ტირო ფედერალი 4:0; ლანუსი — ბანფილდი 0:2; ოლიმპო —ველესი 2:2; ხიმნასია (ხ) — რასინგი 0:1; ხიმნასია (ლ) — კილმესი 4:0; ინდეპენდიენტე — ესტუდიანტესი 0:3; როსარიო — კოლონი 2:0; სან ლორენსო — რივერ პლეიტი 0:0; ბოკა ხუნიორსი — არსენალი 1:0

## მექსიკა

### კლაუსურა. XV ტური

ვერაკრუსი — მონტერეი 1:0; ატლანტე — უნამი 1:0; კრუზ ასული — ამერიკა 1:3; ტიგრესი — ხაგუარესი 1:0; ნეკაქსა — მორელია 0:0; დორადოსი — ტოლუკა 1:1; სან ლუისი — პაჩუკა 2:3; სანტოსი — ტეკოსი 1:1; გვადალახარა — ატლასი 0:3

## ავსტრია

### I დივიზიონი. XXVIII ტური

ალტახი — კერნტენი 3:3; აუსტრია (მ) — აუსტრია (ლ) 0:1; კაპფენბერგი — კუფშტაინი 3:1; ლინცერი — ლეობენი 3:0; შვანენშტადტი — გრატკორნი 1:0

## სლოვაკეთი

### I ლიგა. XXVII ტური

ბანსკა ბისტრიცა — დუბნიცა 2:3; ინტერი — პეტრჟალკა 1:2; ნიტრა — პუხოვი 1:1; ტრენჩინი — რუჟომბეროკი 1:0; ტრნავა — ჟილინა 2:1

## უკრაინა

### უმაღლესი ლიგა. XXVI ტური

სტალი — არსენალი 1:0; მეტალისტი — ვოლინი 1:0; მეტალურგი (დ) — კრივბასი 3:2; ზაკარპატია — მეტალურგი (ზ) 0:2; ვორსკლა — ტავრია 2:3; ილიჩევეცი — შახტარი 1:2; ჩერნომორეცი — ხარკოვი 1:0; დინამო — დნიპრო 0:2

## სლოვენია

### I ლიგა. XXVI ტური

ბელა კრაინა — რუდარი 1:1; დრავა პტუი — მარიბოვი 3:2; დომზალე — პრიმორიე 2:0; ნოვა გორიცა — ნაფტა 1:1; პუბლიკუმი — კოპერი 0:2

## იაპონია

### ჯეი ლიგა. VIII ტური

კაშიმა — შიმიცუ 3:1; სერეზო — ფუკუოკა 0:0; ოიტა — კოფუ 3:2; ურავა — კიოტო 3:0; ნიიგატა — ნაგოია 2:1; ტოკიო — იჩიჰარა 2:3; იოკოჰამა — გამბა 3:4; ივატა — ჰიროშიმა 3:0; კავაზაკი — ომია 3:1

## ჩილე

### პრიმერადივიზიონი. XII ტური

ლა სერენა — უონდერერსი 2:1; კობრელოა — ესპანიოლა 1:0; უნივერსიდად კათოლიკა — რეინჯერსი 2:1; უნივერსიდად დე ჩილე — ჰიგინსი 2:2; პალესტინო — მორნინგი 1:0; ევერტონი — კონსეპსიონი 1:2; უაჩიპატო — პუერტო მონტი 3:2; იტალიანო — კოლო კოლო 1:3; ანტოფაგასტა — კობრესალი 3:1

## აშშ

### მეიჯორ სოკერ ლიგა. III ტური

კოლუმბუსი — ჩიკაგო 1:1; ვაშინგტონი — ჰიუსტონი 2:0; კანზასი — ნიუ ინგლენდი 1:0; კოლორადო — დალასი 2:2; სოლტ ლეიკი — ნიუ იორკი 1:1; ჩივასი — ლოს ანჯელესი 1:2


სარბიელი

სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

სარბიელი და კროკი

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 9 | უიგანი-ასტონ ვილა | 2.05 | 3.20 | 3.35 | 1.24 | 1.27 | 1.63 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 34 | შეფილდი-ლიდსი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 58 | ჰადერსფილდი-ჩესტერფილდი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 82 | შრიუსბერი-რაშდენი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 105 | ბარტონი-საუთპორტი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 123 | დამბარტონი-გრეტნა | 6.00 | 3.70 | 1.45 | 2.28 | 1.16 | 1.04 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **22 აპრილი** | | | | | | |
| 17:30 | 134 | არმინია-ვოლფსბურგი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 17:30 | 135 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 17:30 | 136 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 17:30 | 137 | ლაუტერნი-ჰანოვერი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 17:30 | 138 | კიოლნი-დუისბურგი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 17:30 | 139 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 17:30 | 140 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| | | **23 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 141 | მაინცი-ბაიერნი | 4.70 | 3.50 | 1.60 | 2.00 | 1.19 | 1.09 |
| 19:30 | 143 | ვერდერი-შალკე | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 154 | ერფურტი-ვერდერი(მ) | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 21:30 | 156 | ლიუბეკი-ემდენი | 1.50 | 3.50 | 5.20 | 1.04 | 1.16 | 2.09 |
| 21:30 | 157 | ზტ.პაული-ჰერტა(მ) | 1.70 | 3.30 | 4.00 | 1.12 | 1.19 | 1.80 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 158 | კარლ ცაისი-ოსნაბრიუკი | 1.55 | 3.40 | 4.80 | 1.06 | 1.17 | 1.99 |
| 21:30 | 159 | ვუპერტალი-ჰამბურგი(მ) | 1.85 | 3.30 | 3.45 | 1.18 | 1.20 | 1.68 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 169 | აალენი-ბაიერნი(მ) | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 21:00 | 171 | ფულენდორფი-დარმშტადი | 2.50 | 3.10 | 2.40 | 1.38 | 1.22 | 1.35 |
| 21:00 | 172 | ვეენი-კიკერსი | 1.90 | 3.20 | 3.30 | 1.19 | 1.20 | 1.62 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 20:15 | 173 | ბაირატი-კარლსრუე(მ) | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 190 | შვანენშტადტი-აუსტრია(მ) | 2.95 | 3.20 | 2.00 | 1.53 | 1.19 | 1.23 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 367 | კორონა-ლეხი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 380 | პრჟიბრამი-ბანიკი | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 19:00 | 381 | იპლავა-სპარტა | 6.00 | 3.50 | 1.50 | 2.21 | 1.20 | 1.04 |
| 19:00 | 382 | ზლინი-სიგმა | 2.35 | 2.80 | 3.00 | 1.27 | 1.31 | 1.44 |
| | | **ნორვეგია** | | | | | | |
| | | **ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 436 | ბრანი-ლილესტრიომი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 480 | ასირისკა-ნორჩიოპინგი | 1.90 | 3.40 | 3.55 | 1.21 | 1.23 | 1.73 |
| 21:00 | 481 | ლანდსკრონა-იორებრო | 1.80 | 3.40 | 3.90 | 1.17 | 1.23 | 1.81 |
| 21:00 | 482 | ტრელებორგი-ქვიდინგი | 1.50 | 3.80 | 5.50 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 21:00 | 483 | უმეა-ფალკენბერგი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 490 | ჰონკა-ვპს | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 19:30 | 492 | ლაჰტი-ინტერი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| | | **21 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 495 | კტპ-ჰიკ | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 544 | მილანი-ბარსელონა | 2.40 | 3.00 | 2.95 | 1.33 | 1.32 | 1.48 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 543 | არსენალი-ვილიარეალი | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 545 | შალკე-სევილია | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 21:30 | 546 | სტიაუა-მიდლსბრო | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| | | **საფრანგეთი** | | | | | | |
| | | **თასი** | | | | | | |
| | | **20 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 564 | მარსელი-რენი | 1.90 | 2.90 | 4.20 | 1.14 | 1.30 | 1.71 |
| 22:45 | 565 | ნანტი-პსჟ | 2.60 | 2.80 | 2.80 | 1.34 | 1.34 | 1.39 |
| | | **თურქეთი. თასი** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 567 | ფენერბაჰჩე-დენიზლი | 1.25 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.10 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 566 | ბეშიქთაში-გაზიანთეფი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | **ავსტრია. თასი** | | | | | | |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 568 | პაშინგი-მატერსბურგი | 1.45 | 3.80 | 6.30 | 1.04 | 1.17 | 2.37 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 569 | აუსტრია-რიდი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10009 | უიგანი-ასტონ ვილა | 2.35 | 2.00 | 4.00 | 1.08 | 1.48 | 1.33 |
| 10543 | არსენალი-ვილიარეალი | 1.90 | 2.20 | 5.50 | 1.01 | 1.41 | 1.57 |
| 10544 | მილანი-ბარსელონა | 2.75 | 2.00 | 3.30 | 1.15 | 1.50 | 1.24 |
| 10545 | შალკე-სევილია | 2.35 | 2.00 | 4.30 | 1.08 | 1.51 | 1.36 |
| 10546 | სტიაუა-მიდლსბრო | 2.60 | 2.00 | 3.65 | 1.13 | 1.51 | 1.29 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11009 | უიგანი-ასტონ ვილა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11543 | არსენალი-ვილიარეალი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11544 | მილანი-ბარსელონა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.10 |
| 11545 | შალკე-სევილია | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11546 | სტიაუა-მიდლსბრო | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12009 | უიგანი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 12543 | არსენალი-ვილიარეალი | 1.60 | 2.00 |
| 12544 | მილანი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 12545 | შალკე-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12546 | სტიაუა-მიდლსბრო | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13009 | უიგანი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 13543 | არსენალი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13544 | მილანი-ბარსელონა | 1.90 | 1.70 |
| 13545 | შალკე-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13546 | სტიაუა-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე გუნდი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14009 | უიგანი-ასტონ ვილა | 1.60 | 2.20 |
| 14543 | არსენალი-ვილიარეალი | 1.25 | 2.60 |
| 14544 | მილანი-ბარსელონა | 1.80 | 1.90 |
| 14545 | შალკე-სევილია | 1.65 | 2.20 |
| 14546 | სტიაუა-მიდლსბრო | 1.75 | 2.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15009 | უიგანი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15543 | არსენალი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15544 | მილანი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15545 | შალკე-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15546 | სტიაუა-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16009 | უიგანი-ასტონ ვილა | 1.30 | 2.50 |
| 16543 | არსენალი-ვილიარეალი | 1.20 | 3.40 |
| 16544 | მილანი-ბარსელონა | 1.60 | 1.90 |
| 16545 | შალკე-სევილია | 1.40 | 2.40 |
| 16546 | სტიაუა-მიდლსბრო | 1.60 | 2.00 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17009 | უიგანი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17543 | არსენალი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17544 | მილანი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17545 | შალკე-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17546 | სტიაუა-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18543 | არსენალი-ვილიარეალი | 1.45 | 2.50 |
| 18544 | მილანი-ბარსელონა | 2.10 | 1.60 |
| 18545 | შალკე-სევილია | 1.65 | 2.00 |
| 18546 | სტიაუა-მიდლსბრო | 2.40 | 1.40 |


CROCO BOOKMAKERS

**კროკო**

**ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება**

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | ცისფერყანწელთა ქუჩა №4 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 21 | |
| ოზურგეთი | იოანე პეტრიწის ქუჩა №3 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | თამარ მეფის №1 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ზუგდიდი | გამსახურდიას №41 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №17-29 | |

# ქართველები უცხოეთში

## ნახევარქართველის ნახევარფინალი

## 15-წუთიანი საჩუქარი



შემონდ უილიამსი ოთხთა ფინალში იბურთავებს

**ევროლიგის** ოთხთა ფინალი ქართველებისთვის უცხო არ არის. სხვადასხვა დროს იქ ნიკოლოზ ცქიტიშვილსა და მანუჩარ მარკოიშვილს უთამაშიათ, მაგრამ სამიოდ წელია, კონტინენტის უძლავრესი ტურნირის ოთხეულში ჩვენებური არ გვყოლია. ქართველი არა, მაგრამ წლევანდელი ევროლიგის ოთხთა ფინალში გაქართველებული კი ითამაშებს — შემონდ უილიამსი „ბარსელონას“ მაისურით ეცდება ევროპის დაპყრობას. ნახევარფინალში კატალონიელების მეტოქე რუსული ცსკა გახლავთ.

ეს მას შემდეგ გაცხადდა, რაც გასულ ხუთშაბათს „ბარსამ“ შინ მეოთხედფინალური სერიის მესამე გადამწყვეტ მატჩში მოსისხლე „რეალი“ დასცა. საოთხთაფინალე შეჯახება გვარიანად დაძაბული გამოდგა, თუმც, ჩვენდა გასახარად, შემონდის გუნდმა იმარჯვა. მართალია, მას ამ მატჩში წინა ჯახის მსგავსად ვარსკვლავები არ უკრეფია, მაგრამ კატალონიელებს 2 ქულასთან ერთად 6 პასი შეაშველა და ოთხთა ფინალშიც გაიკაკა.

სამაგიეროდ, უილიამსი ესპანეთის ჩემპიონატში მეტად დაეხმარა „ბარსელონას“, რომელმაც მალაგაში პირველობის მოცილე „უნიკახა“ დაამარცხა. გაგანია დაცვით თამაშში საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა 16 ქულა მოჰფა, როცა ვერც ერთმა მისმა თანაგუნდელმა ათიც ვერ შეაკოწიწა.

თუ შემონდ უილიამსი ევროლიგის ჩემპიონობისთვის იბრძვის, საქართველოს ნაკრებში მისმა შემცვლელმა გიორგი ცინცაძემ უკვე აღმართა ულებ-ის თასი. ეს ტურნირი მნიშვნელობითა და პრესტიჟით მომდევნოა ევროლიგის შემდეგ და მის მოსაგებად დიდი ოფლის ღვრა დასჭირდა მოსკოვის „დინამოს“.

სამწუხარო ისაა, რომ 20 წლის ქართველმა ჭაბუკმა ფინალურ მატჩში ვერ ითამაშა. ის დინამოელებმა ბელგიაში კი იახლეს, მაგრამ ზურგის ტკივილის გამო „არისთან“ სათამაშოდ მოედანზე ვერ გავიდა.

ტრავმის გამო არ ითამაშა „ოლიმპიას“ ქართველმა უკანახაზელმა მანუჩარ მარკოიშვილმაც. მისი გუნდი ადრიატიკის ლიგის პლეი ოფში ვერ გავიდა და გასული კვირიდან სლოვენიის ჩემპიონატში ექვსეულიდან ჩაება. მარკოიშვილი სადებიუტო მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო — „ჰელიოსს“ 21 წუთში 11 ქულა ჩაუგდო და მისთვის უჩვეულოდ ბევრი, 9 ბურთიც მოხსნა. სამწუხაროდ, მან ამ თამაშში მცირე ტრავმა მიიღო და მომდევნო მატჩი გამოტოვა.

დავით უგრეხელიძის „პივოვარნა“ კი სლოვენიის ჩემპიონატში ისევე არ უქნია ღმერთს, როგორც ადრიატიკის ლიგაში. პოსტიუგოსლავიური ქვეყნების ტურნირში „მელუდეებმა“ ბოლო ადგილი დაიკავეს, შიდაპირველობა კი ორი მარცხით დაიწყეს.

უგრეხელიძეს არც სლოვენიის პირველობაზე უწევს თამაში. „ელექტრასთან“ მას 5 წუთი ენდნენ, „სლოვანთან“ მატჩს კი სათადარიგოთა სკამიდან უყურა.

ძირითადად სათადარიგო იყო, თუმც ბოლო მატჩში ნიკა ცქიტიშვილმა სარეკორდოდ ბევრი ითამაშა „ფინიქსში“. ამის მიზეზი მისი დაბადების დღე გახლდათ — მაიკ დანტონიმ ნიკას 23-ე დაბადების დღეზე 15 წუთი ათამაშა. 14 აპრილს იუბილარმა ცქიტიშვილმა თავის ყოფილ გუნდ „გოლდენ სტეიტს“ 6 ქულა ჩაუგდო და 5 ბურთი მოუხსნა, რაც სულაც არ გახლავთ ურიგო შედეგი ისეთი ღრმა სათადარიგოსთვის, როგორიც ფინიქსელთა ქართველი ფორვარდია.

მცირე ტრავმის შემდეგ მოედანზე დაბრუნებულმა ზაზა ფაჩულიამ ორმაგი დუბლის გემო გაიხსენა და გასული კვირის სამი მატჩიდან ეს ორჯერ მოახერხა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | რომა | შ | 80:84 | 22 | 5 | 2 | 1 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | სლოვენიის ჩემპიონატი | ჰელიოსი | შ | 73:66 | 21 | 11 | 9 | 1 |
| | | | კემოპლასტი | ს | 93:79 | განაცხადში არ იყო | | | |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | საფრანგეთის ჩემპიონატი | ვილერბანი | ს | 76:68 | 6 | 0 | 0 | 1 |
| | | | ბრესტი | შ | 88:75 | 8 | 2 | 1 | 1 |
| შემონდ უილიამსი | ბარსელონა | ევროლიგა | რეალი | შ | 76:70 | 21 | 3 | 1 | 6 |
| | | ესპანეთის ჩემპიონატი | უნიკახა | ს | 57:54 | 31 | 16 | 2 | 6 |
| გიორგი ცინცაძე | დინამო (მოს) | ულების თასი | არისი | ნ | 73:60 | ტრავმირებულია | | | |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | სლოვენიის ჩემპიონატი | ელექტრა | ს | 68:78 | 5 | 0 | 1 | 0 |
| | | | სლოვანი | ს | 98:70 | არ უთამაშია | | | |
| ლევან შენგელია | აკადემია | ლიტვის A ლიგა | კაუნო | ს | 78:74 | არ უთამაშია | | | |
| | | | კაუნო | ს | 94:72 | 5 | 0 | 1 | 0 |
| ტატო ვამაკიძე | პასვალიო | ლიტვის A ლიგა | კაუნო | ს | 71:85 | 22 | 14 | 3 | 0 |
| | | | კაუნო | შ | 83:76 | 29 | 16 | 5 | 5 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგულარული ჩემპ. | ჩიკაგო | შ | 90:96 | 28 | 12 | 10 | 1 |
| | | | შარლოტი | ს | 110:116 | 29 | 12 | 2 | 3 |
| | | | მილუოკი | ს | 120:114 | 33 | 16 | 10 | 5 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | ფინიქსი | NBA რეგულარული ჩემპ. | დალასი | შ | 117:104 | არ უთამაშია | | | |
| | | | საკრამენტო | ს | 123:110 | არ უთამაშია | | | |
| | | | გოლდენ სტეიტი | ს | 102:110 | 16 | 6 | 5 | 1 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



ნიკა ცქიტიშვილმა კობი ბრაიანტი ვერ შეაკავა

## ნიკა რეკორდით ამთავრებს

17 აპრილი

**ლეიკერსი 109:89 ფინიქსი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (43)

ფინიქსი: ბარბოსა (16), დიავი (11), ტომასი (7), მარიონი (29), გრანტი; ჯონსი (11), ცქიტიშვილი (16 წუთი, 9 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი), ბერკი

**მაიამი 93:117 ჩიკაგო**

**მინესოტა 90:103 სან ანტონიო**

**დეტროიტი 103:97 ნიუ იორკი**

**დალასი 111:95 იუტა**

**ვაშინგტონი 104:92 კლივლენდი**

**ნიუ ჯერსი 95:93 ბოსტონი**

**კლიპერსი 98:114 სიეტლი**

**საკრამენტო 96:79 ნიუ ორლეანი**

ნიკა ცქიტიშვილმა 14 აპრილს, საკუთარ დაბადების დღეს 15 წუთი ითამაშა „ფინიქსის“ მაისურით და ამ გუნდში მოედანზე ყოფნის ხანგრძლივობის პირადი რეკორდი დაამყარა. იმ მატჩში ნიკამ თავკაც მაიკ დანტონის მოწონებაც დაიმსახურა.

„სკიტამ“ ეს რეკორდი მომდევნო მატჩშივე გააუმჯობესა, თუმც, სამწუხაროდ, მხოლოდ 1 წუთით. ქართველი ფორვარდი ამჯერად მეტი მონდომებით გაისარჯა და 9 ქულა, 5 მოხსნა და 2 პასი მიითვალა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რეგულარული ჩემპიონატი ათიოდ დღეში დასრულდება და, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ცქიტიშვილს პლეი ოფში ისევ ენდოს დანტონი. „ლეიკერსთან“ გუშინწინდელ მატჩში „ფინიქსს“ დაშავებულები ბითუმად ჰყავდა და „ცქიტოს“ მოედანზე გასვლას ამანაც გვარიანი ბიძგი მისცა.

„მკვდრები ვიყავით, ისე გვქონდა სიქა გაცლილი — თქვა ნამატჩევს 20 ქულით დამარცხებული „ფინიქსის“ მწვრთნელმა — სამდღენახევარში მესამე თამაში გავმართეთ და კალათბურთელებისთვის რა უნდა მომეთხოვა.“

„ფინიქსმა“ ისე უნიათოდ იბურთავა, რომ პირველი ნახევრის შემდეგ უკვე 21 ქულას აგებდა. დანტონს ქართველი ფორვარდი უიმედო მდგომარეობის გამო კი არ გამოუყვანია მოედანზე, არამედ „სკიტას“ პირველივე მეოთხედში მისცა თავის გამოჩენის შანსი. მანაც თავი არ შეირცხვინა, ფარქვეშაც ყოჩაღად ირჯებოდა და სამიანიც ჩააგდო. აი, საჯარიმოს ხაზიდანაც რომ უკეთ ესროლა, 10-ქულიან ზღვარს ასცდებოდა.

პლეი ოფი ვახსენეთ და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მისი თექვსმეტივე მონაწილე ცნობილია. დარჩენილ მატჩებში ეს რჩეულები საპლეიოფოდ დაწყვილდებიან. რეგულარული ჩემპიონატი 19 აპრილს მთავრდება.

| აღმოსავლეთი | | | | დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *დეტროიტი* | 64 | 16 | 80,0 | *სან ანტონიო* | 61 | 19 | 76,3 |
| *მაიამი* | 52 | 28 | 65,0 | *ფინიქსი* | 52 | 28 | 65,0 |
| *ნიუ ჯერსი* | 49 | 31 | 61,3 | *დენვერი* | 44 | 36 | 55,0 |
| *კლივლენდი* | 48 | 32 | 60,0 | *დალასი* | 60 | 21 | 74,1 |
| *ვაშინგტონი* | 40 | 40 | 50,0 | *მემფისი* | 47 | 33 | 58,8 |
| *ინდიანა* | 39 | 41 | 48,8 | *კლიპერსი* | 46 | 34 | 57,5 |
| *მილუოკი* | 39 | 41 | 48,8 | *ლეიკერსი* | 44 | 37 | 54,3 |
| *ჩიკაგო* | 39 | 41 | 48,8 | *საკრამენტო* | 43 | 38 | 53,1 |
| ფილადელფია | 37 | 43 | 46,3 | იუტა | 40 | 40 | 50,0 |
| ორლანდო | 36 | 44 | 45,0 | ნიუ ორლეანი | 38 | 42 | 47,5 |
| ბოსტონი | 32 | 48 | 40,0 | სიეტლი | 34 | 46 | 42,5 |
| ტორონტო | 27 | 53 | 33,8 | ჰიუსტონი | 33 | 47 | 41,3 |
| ატლანტა | 25 | 55 | 313 | გ. სტეიტი | 33 | 47 | 41,3 |
| შარლოტი | 24 | 56 | 30,0 | მინესოტა | 33 | 48 | 40,7 |
| ნიუ იორკი | 22 | 58 | 27,5 | პორტლენდი | 21 | 59 | 26,3 |

*დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები. პირველ სამ ადგილზე არიან დივიზიონების ლიდერები*

## ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

16 აპრილი

**ბუფალო 6:0 ტორონტო**

*2:0 2:0 2:0*

1:0 კემპბელი (2), 2:0 დრური (4), 3:0 გოსტადი (35), 4:0 პომინვილი (36), 5:0 დრური (51), 6:0 ვანეკი (55)

**სენტ ლუისი 0:3 ფინიქსი**

*0:1 0:2 0:0*

0:1 დოუნი (12), 0:2 ჯონსონი (25), 0:3 პერო (30)

**ჩიკაგო 4:3 კოლუმბუსი**

*0:1 2:0 2:2*

0:1 ვიბორნი (20), 1:1 ვრბატა (33), 2:1 ბუფილიენი (38), 2:2 ნეში (41), 3:2 ბელი (54), 3:3 ფიოდოროვი (54), 4:3 კოლდერი (56)

**ნიუ ჯერსი 5:1 ფილადელფია**

*2:0 2:1 1:0*

1:0 ჯიონტა (6), 2:0 ელიაში (20), 3:0 გომესი (23), 3:1 განიე (23), 4:1 ლანგენბრუნერი (40), 5:1 ელიაში (52)

# თქვენი ინტერვიუ
# ზაზა ფაჩულიასთან

*თქვენი მორიგი რესპონდენტი საქართველოს საკალათბურთო ნაკრების და „ატლანტა ჰოქსის" ცენტრალური თავდამსხმელი ზაზა ფაჩულია იქნება.*

*მოგვაწოდეთ კითხვები და ნბა-ს ყველაზე წარმატებულ ქართველთან ინტერვიუ არაუგვიანეს 25 აპრილამდე გამოქვეყნდება.*



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

წყალსათხილამურო სპორტი

## მთავრობამ სპორტს კიდევ ერთი კაცი მიახმარა
## გიორგი არველაძემ ფეხი დაისველა



გიორგი არველაძე ხელისუფლების მორიგი წარმომადგენელია, ძირითადთან ერთად სპორტულ საქმიანობასაც რომ შეითავსებს. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გუშინ წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი გახდა.

არველაძის კანდიდატურა ექსპრეზიდენტმა რომან მელიამ წამოაყენა გუშინდელი გამგეობის სხდომაზე. იქვე ჩატარდა არჩევნებიც, სადაც თავად მელია ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

ცნობილია ახალი პრეზიდენტის უახლოესი გეგმაც — თბილისის ზღვაზე ინფრასტრუქტურის განვითარება და ფოთის ბაზის აღდგენა-ამუშავება. „წყალსათხილამურო სპორტი საკმაოდ ძვირი სახეობაა, მაგრამ ხელშეწყობის პირობებში მისი გაცოცხლება სავსებით რეალურია — გვითხრა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა — მით უმეტეს, რომ ბუნებრივი რესურსების ნაკლებობას არ განვიცდით. მჯერა, არველაძის თაოსნობით ამ სახეობას მეტი ყურადღება მიექცევა."

ნამგალაურს მორიგ სავარაუდო პოლიტიკურ-სპორტულ კადრზეც დავეკითხეთ:

„ჯერ დაგეგმილი არაფერია, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომელიმე ფედერაცია თვითონ აწარმოებდეს მოლაპარაკებას კონკრეტულ პიროვნებებთან. სპორტის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ჩვენთვისაც სავსებით მისაღებია. მთავარია, საქმე გაკეთდეს."

**ოთარ მაღლაკელიძე**

ჩოგბურთი

# ფიშის აფიშა

**ქალები**
ჩარლსტონი. აშშ. თიხნარი
საპრიზო 1 340 000 $

**ფინალი**

**ნადია პეტროვა (2, რუსეთი) — პატი შნიდერი (3, შვეიცარია) — 6:3 4:6 6:1**

**ვაჟები**
ჰიუსტონი. აშშ. თიხნარი
საპრიზო 355 000 $

**ფინალი**

**მარდი ფიში (აშშ) — იურგენ მელცერი (ავსტრია) — 3:6 6:4 6:3**

**როგორც** მავანმა ამერიკელმა მიმომხილველმა რამდენიმე დღის წინ იხუმრა, ნადია პეტროვამ დაივიწყა, წაგება რა არის. ზორბა რუსი გოგო წლეულს ერთობ სოლიდურად გამოიყურება და ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ორ კვირაში ორი ტურნირი მოიგო. ამელია აილენდის ტრიუმფატორმა ჩარლსტონშიც დამსახურებულად იმარჯვა.

არადა, ფინალი იოლი სულაც არ გამოდგა. მართალია, პატი შნიდერი სერიოზული მოწინააღმდეგეა, მაგრამ პეტროვას მთავარი მეტოქე ფინალში მაინც ხვატიანი ტაროსი იყო — აქამდე ჩოგბურთელებს შუადღემდე უწევდათ ხოლმე თამაში, მაგრამ გადამწყვეტი მატჩი რატომღაც თაკარა მზის ქვეშ ჩატარდა და ამან რუსს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ნადიას სულზე მიუსწრო მესამე სეტის წინ აღებულმა 10-წუთიანმა შესვენებამ, თორემ ალბათ აუცილებლად წააგებდა.

ფინალი კი რუსის აშკარა უპირატესობით დაიწყო. პეტროვამ მალევე გააკეთა ბრეიკი და პირველ სეტი ზედმეტი დაძაბვის გარეშე მოიგო. მეორე პარტია კი უფრო თანაბრად დაიწყო. სეტის მიწურულს კი პეტროვა უბრალოდ, გაჩერდა — ის თითქმის ვერ გადაადგილდებოდა კორტზე და შესაბამისად შნიდერმა გაათანაბრა კიდეც ანგარიში.

სწორედ აქ გამოცხადდა შესვენება, რომლის დროსაც პეტროვამ მოახერხა გონს მოსვლა და კორტზე დაბრუნების შემდეგ ყოჩაღადაც აჩოგნავდა. ალბათ იფიქრა რუსმა, სანამ კიდევ რამე დამემართა, დროზე მოვრჩეო და მესამე სეტში უბრალოდ, გადაურბინა შნიდერს.

გუშინ კიდევ ერთი ტურნირი მიილია. ჰიუსტონში, ადგილობრივ ქომაგთა გასახარად, მარდი ფიშმა 1 საათსა და 52 წუთში მიჩოგნა იურგენ მელცერი და კარიერაში მეორე ტიტული მოირეწა. ტრავმის გამო ერთწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნებული ფიშისთვის ეს მართლაც დიდი წარმატებაა.

„მე მგონი, ამ დაწყევლილი ტრავმის კომპლექსს მოვიშორებ თავიდან... წინა კვირებშიც კარგად ვთამაშობდი, მაგრამ მხოლოდ აქ შევძელი ყველაფრის ბოლომდე ასრულება... იმედი მაქვს, ასეთი ტრავმა აღარ მექნება, თორემ სპორტში დამბრუნებელი აღარ ვარ. ახლა კი ცოტა ხანს ამ პატარა გამარჯვებით დავტკბები" — ენაწყლიანობდა ფიში.

**ბაჩა ლომაშვილი**



ნადია პეტროვა ტურნირს ტურნირზე იგებს

AFP ჩარლსტონიდან

# თავადმა პოლუსიდანაც გადმოგვხედა



**მონაკოს** მეფე ალბერ II სახელმწიფოს მეთაურთაგან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სპორტული ფიგურაა. იგი 1985 წლიდან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია და სისტემატურად მონაწილეობს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში. მონაკოს უფლისწული კალგარის, ალბერვილის, ლილეჰამერის, ნაგანოსა და სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ბობსლეისტთა შეჯიბრებებში გამოდიოდა, პარალელურად თავისი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტიც გახლდათ, მაგრამ მამის გარდაცვალების მერეც, როცა სახელმწიფოს მეთაურობა ჩაიბარა, სპორტული ცხოვრება არ მიუტოვებია.

თავადმა ალბერმა შვიდი თანამოაზრე შემოიკრიბა და გლობალური დათბობისადმი ყურადღების მისაპყრობად ჩრდილოეთ პოლუსისკენ ძაღლებშებმული მარხილებით გაუყვა თავისი წინაპრის, ალბერ I ნაკვალევს, რომელმაც საუკუნის წინათ ოთხი არქტიკული ექსპედიცია განახორციელა. ახლა 48 წლის ალბერ მეორემაც მიაღწია მიზანს.

ამგვარად, ალბერ II გახდა პირველი მოქმედი სახელმწიფოს მეთაური, ვინც ჩრდილოეთ პოლუსს მიაღწია. იქიდან თავადმა ტელეფონით ფრანს პრესს აცნობა, რომ ექსპედიციის მსვლელობისას გლობალური დათბობის შედეგები ვნახეო.

„ეს მოგზაურობა ფიზიკურად ძნელი იყო, რამდენადაც მარშრუტი სწორხაზოვანი არ გახლდათ. როცა გზად ერთმანეთს შეჯახებული ყინულის ლოდები გხვდება, ისინი საკმაოდ შთამბეჭდავ მთებს ქმნიან, რომელთა გადასალახად მათზე ასვლაა საჭირო" — თქვა თავადმა.

მისივე თქმით ამგვარი სირთულეების გამო თავდაპირველად ნავარაუდევ, 91-კილომეტრიანი მოგზაურობის ნაცვლად გზა 150 კილომეტრზე გაიწელა.

მთის თხილამურობა

# უთვალისჩინოდ და უშიშრად

**ყოფილმა** ბრიტანელმა ჯარისკაცმა სამთოთხილამურებით ალპების მთებში საათში 160 კილომეტრი სისწრაფე განავითარა. დიდი ამბავი, ასე ხომ სხვა სამთომოთხილამურეებიც დაქრიანო, იტყვის ალბათ მკითხველი, მაგრამ საქმე ისაა, ეს ყოფილი ჯარისკაცი, 34 წლის კევინ ოლდერტონი ბრმაა და იგი თავისი მწვრთნელის თვალებით იმზირებოდა, ინფორმაციას კი ჩაფხუტში ჩამონტაჟებული ყურსაცვამების საშუალებით ღებულობდა.

კევინის თქმით, რომელმაც მხედველობა 8 წლის წინათ ქუჩაში მოძალადეთა თავდასხმის შედეგად დაკარგა, ამბობს სამთოთხილამურებმა ცხოვრების ინტერესი დამიბრუნა, თუმცა, თავდაპირველად არ მეგონა, თუ ყოველივე ამას თავს გავართმევდი და სიკვდილი მინდოდაო. ახლა კი მისი ცხოვრების ლოზუნგია: „უთვალისჩინოდ და უშიშრად".

როცა კევინ ოლდერტონი საფრანგეთის ალპებში „ლეზ არკსის" ფერდობზე თხილამურებით დადგა, მის მეგობრებსა და ნათესავებს ქვემოთ მღელვარებისგან ლამის გული გაუჩერდათ. კევინმა სტარტი ნელა აიღო, მერე კი, სულ უფრო და უფრო უმატა სისწრაფეს და ბოლოს საათში 162 კილომეტრი სიჩქარე განავითარა. იგი მშვენივრად მოჰქროდა, მაგრამ ზედ ფინიშთან ლამის კატასტროფა მოხდა. კევინ ოლდერტონი ზურგზე დავარდა და ამგვარად 100 მეტრამდე ისრიალა, მაგრამ მას ამ დროს თავისი საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

20-წლამდელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

სპორტის სასახლე. 14-16 აპრილი

# გუნდი გვყავს, მთავარია, არ დავკარგოთ



ბადრი კეთილაძის ფოტო

**ჩინებული** საქმე გაკეთდა ასეთი მაღალი დონის შეჯიბრების, თანაც პირველად, საქართველოში ჩატარებით. ისეთი თამაშები იყო, არა მხოლოდ ნორჩ ხელბურთელებს გამოადგებათ თვალსაჩინო გაკვეთილად. თანაც მატჩები ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცა. ერთი სიტყვით, ხელბურთის პოპულარიზაციისთვის უკეთესი საშუალება ძნელი წარმოსადგენია.

რაც მთავარია, საქმეში ვიხილეთ ჩვენი გუნდი — ქართული ხელბურთის ხვალინდელი დღე, შესაძლებლობა იმ ახალგაზრდებისა, ვინც ორ-სამ წელიწადში „დიდ“ ეროვნულ ნაკრებში უნდა დაიმკვიდროს ადგილი.

ძალიანაც გულსატკენია, რომ ოთხგუნდა ტურნირში, თანაც თავის მოედანზე, ქართველებმა მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგეს და მესამე ადგილს ვერ ასცდნენ, მაგრამ მთავარი ხომ ისაა, რაც ცხადად გამოჩნდა — გვყავს ძალა, რომელსაც ძალუძს ევროსარბიელზე თავისი სიტყვის თქმა.

საამისოდ კი, ანუ სასურველი შედეგის მისაღწევად, ბიჭებისთვის აუცილებელია ხელ-ფულშეწყობა, მოსამზადებლად ნორმალური პირობების შექმნა, რათა ხშირად გაიქნიონ ხელი საერთაშორისო სარბიელზე და საყვარელ საქმეზე გული არ აუცრუვდეთ. შედეგი კი, რაც ყოველ შეჯიბრებაში უმთავრესი ამბავია, აუცილებლად მოვა.

ეს მხოლოდ ჩვენი სუბიექტური მოსაზრება არაა. პოლონელმა და რუმინელმა მწვრთნელებმა, ვისაც ვესაუბრეთ, ყოველგვარი ქათინაურის გარეშე აღნიშნეს — მშვენიერი, პერსპექტიული გუნდი გყავთ და ერთიორი ისეთი მოთამაშეც, ევროსარბიელზე სახელი რომ გაითქვამენო.

ჰოდა, მივხედოთ ბიჭებს. ივლისში სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება და, იმედია, საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაცია ყოველ ღონეს იხმარს, რათა ჩვენებმა პოლონეთში ითამაშონ.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დასკვნით მატჩში რუმინელებისგან ქართველთა განადგურებას — 21:44. ჩვენსავით საპირველადგილო მოტივაციის გარეშე დარჩენილმა, ოღონდ, მართლაც პროფესიონალმა მეტოქეებმა ბოლომდე ისე იბრძოლეს, როცა ოცბურთიანი უპირატესობაც ჰქონდათ, თითქოს მაშინღა წყდებოდა პირველობის ბედი. გადაღლილმა ჩვენებმა კი უხეშობის მაგალითი გვიჩვენეს. საწყენია, მაგრამ ფაქტია.

მეტი რაღა უნდა ითქვას, ჩვენც უნდა გავპროფესიონალდეთ და პატრონი ვიპოვოთ.

რაც შეეხება ევროჩემპიონატის დანარჩენ ჯგუფებს, თითქმის ყველგან უმწვავესი ჭიდილი იყო. აგვისტოში, ავსტრიის საკურორტო ქალაქ ინსბრუკში თამაშის უფლება გერმანიის, ჩეხეთის, დანიის, ნორვეგიის, სლოვენიის, ესტონეთის, სლოვაკეთის, ლატვიის, ესპანეთის, შვედეთის, ბელარუსისა და საფრანგეთის ნაკრებებმა მოიპოვეს.

**გია ახალაძე**





ვლადიმირ კრამნიკი და ვესელინ ტოპალოვი

# ჭადრაკი გამთელდა

## ბათუმი კი ახალგაზრდებს იხილავს

**20-31 ოქტომბერს** ბათუმი ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ასე გადაწყდა სამი დღის წინ დუბაიში გამართულ ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოზე.

ჩემპიონატის ჩატარება საქართველოს გარდა, კიდევ რამდენიმე ქვეყანას სურდა, თუმც ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა არჩევანი ბათუმის სასარგებლოდ გააკეთა. შეჯიბრი საქართველოს პრემიერმინისტრ ზურაბ ნოღაიდელის პატრონაჟით გაიმართება.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ზურაბ ტყებუჩავას ვთხოვეთ:

„ჩემპიონატის მასპინძლობა ბევრ ქვეყანას სურდა, მათ შორის, ჩინეთს, თურქეთსა და აშშ-ს, თუმც კონკურსში ყველას ვაჯობეთ და ოქტომბერში საქართველოს ბევრი ცნობილი მოჭადრაკე ეწვევა.“

საპრეზიდენტო საბჭოზე მთავარი თემა კი პლანეტის აბსოლუტური ჩემპიონის, ბულგარელი ვესელინ ტოპალოვისა და კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის, რუსი ვლადიმირ კრამნიკის დაპირისპირება იყო. ორივე დიდოსტატი 21 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე ილუმჟინოვის სამშობლო ყალმუხეთის დედაქალაქ ელისტაში 12-რაუნდიან ბრძოლას გამართავს და უძლიერესს გამოავლენს.

„ტოპალოვი და კრამნიკი 12 კლასიკურ პარტიას გაითამაშებენ. ყაიმის შემთხვევაში კი დამატებით ოთხ 25-წუთიან შეხვედრას გამართავენ. მატჩის საპრიზო ფონდი ერთი მილიონი დოლარია და შედეგის მიუხედავად, თანხა თანაბრად განაწილდება“ — განაცხადა ილუმჟინოვმა.

გამარჯვებული მოჭადრაკე ტიტულს შეინარჩუნებს და მექსიკაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს. წაგებული დიდოსტატი კი ყველაფერს ნულიდან დაიწყებს და ელიტაში მოსახვედრად მსოფლიოს თასზე მოუწევს თამაში.

„კონტრაქტს ორივე დიდოსტატმა მოაწერა ხელი და ამით ჭადრაკში ორხელისუფლებიანობა დასრულდა“ — დასძინა ილუმჟინოვმა.

**ლაშა გეგეჭკორი**


# წამალი „სალხინო“

## ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მინებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი „სალხინო“ და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

„სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გიგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებული და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე 3,30 დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.




# თბილისელი და მოსკოველი ქართველობა კიევში გაერთიანდა

**გუშინ** კიევში განახლდა უკრაინის უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა ღია ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები, რომელშიც საქართველოს ახალგაზრდული გუნდიც მონაწილეობს. ჩვენი წყალბურთელები ახლა ლვოვის დინამოელებთან ერთად მე-4-5, ადგილებს იყოფენ და მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩებიან მესამეადგილოსან კიევის „დინამოს“, ჩემპიონატს კი ლიდერობს მარიუპოლის გუნდი, ხოლო მეორეზე ხარკოველები არიან.

ამ ტურში ჩვენ წყალბურთელთა მეტოქეები არიან: ხარკოვის, კიევის, ლვოვის, მარიუპოლისა და სევასტოპოლის გუნდები, რომლებსაც საქართველოს ნაკრები, როგორც ვთქვით, ახალგაზრდული შემადგენლობით უპირისპირდება. მის შემადგენლობაში ახალგაზრდულ ასაკს გადაცილებული მხოლოდ ერთი წყალბურთელია — კონსტანტინე გეგელაშვილი, რომელიც მოსკოვის ცსკ ვმფ-ში თამაშობს.

ჩვენს გუნდში არიან სხვა ლეგიონერებიც, ოღონდ ახალგაზრდული ასაკისანი, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ემზადებიან. ესენი არიან თბილისელები: ზურაბ რურუა (მოსკოვის ცსკ ვმფ), მიხეილ ბალათურია (მოსკოვის „დინამო“) და გიორგი ხვადაგიანი (მოსკოვის „მაიაკი“). მათ გარდა კიევში ჩვენი გუნდის შემადგენლობაში არიან: სანდრო ნამორაძე, დავით ქაჯაია, ბექა ქენქაძე, გურამ კოტარია, ნოდარ რაფავა, დავით ბაქრაძე, ვასილ ლუტიძე, ტატო ნიკოლეიშვილი, ალექსანდრე რუსიშვილი, ვლადიმერ ბერძენიშვილი და დავით სტურუა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge